



საქართველოს მთაბეშე

№ 13

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მარიამ ივანეს ასული დემურჩიასი; — სოფლის დან-
გრევა ლ; — ჩვენი საზოგადოების საურადად ებოძა
ნიკო თავდგირიძისა; — სტრუფო-ეგვილო ი.
გრიშაშვილისა; — ბასი ა. ფრონელისა; — გატან-
ჯული დამე სვ. ყიფიანისა; — სრდაფში მარიამ
გარიყულისა; — ივ. ჯავახიშვილის ლექცია B; —
ფინლანდია გ. გვაზავასი; — მოკლე მიმოხილვა
ქართულ მწერლობის იბ. ვართაგავასი.

24 იანვარი კვირეული საზოგადოებრივი, სამეც. და სალიტ. ჟურნალი 1910 წ.

მარიამ ივანეს ასული დემურჩიასი

ხუთშაბათს დილით გარდაიცვალა მარიამ დემურჩიასი. ის კარგათ ცნობილი იყო ჩვენ საზოგადოებაში. იშვიათი მხნეობის მქონე, ის გულმოდგინედ მუშაობდა ჯერ სახალხო თეატრის მოწყობის საქმეში, შემდეგ ხელმძღვანელობდა საყმაწვილო ჟურნალს „ნაკადულს“, რომელიც დღეს აუცილებელ კუთვნილებას წარმოადგენს ყოველ ოჯახისა და სკოლისა ჩვენში. განსვენებული ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე იყო, მაგრამ ბედმა უდროვოდ გამოასალმა წუთი სოფელს.

სოფლის დანგრევა

საზოგადოებრივობა ნიშნავს ისეთ ფსიხიურ განწყობილებას, როცა ერთის გაჭირვება მეორეს გულს მოაწვდება, როცა ერთის ტკივილი მეორეს ტკივილად ექმნევა. რამდენად საზოგადოებაში ეს ერთობა, ეს გრძნობიერება მაღლა სდგას, იმდენად ის სულიერად შეკავშირებულია, იმდენად მასში ძლიერია ის ერთობის სული, რომელიც კერძო ადამიანებს და ჯგუფებს სამსხვერპლოდ განამზადებს საერთო საქმისათვის. იმავე დროს ეს ფსიხიური ძალა, ეს შეგნება ერთობისა, რომელსაც თვითნებური წევრი თავის გულში ატარებს, წარმოადგენს ყოველგვარ შეურაცხყოფისაგან თავის დასაცველ საუკეთესო საშუალებას.

დიდი ხანია ჩვენში ისეთი ძალები თარეშობენ, რომელთა მოქმედება მიმართულია სწორედ ამ ერთობის, ამ ფსიხიურ გძნობიერების დარღვევისაკენ. როცა საქართველოს სხვა ნაწილებში კრძალავენ და სდევნიან ქართულს, იმავე დროს სამეგრელოს-

თვის არდგენენ განსაკუთრებულ ანბანს და ბექდავენ წიგნებს, ნახეთ, აბა ჩვენ თქვენ გონებრივ განვითარებაზე ვზრუნავთო.

ეს გათიშვის სურვილი, ეს დაქუცმაცების ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ ქართველს ქართველადაც არ სცნობენ და ეძახიან იმერეტინეცს, გურიეცს და სხვა. მაგრამ მიუხედავად ასეთი მისწრაფებისა მაინც არ დაირღვევა ის ერთობის გრძნობა, ის კულტურული შეგნება, რომელიც შეუქმნია ათასი წლობით მომდინარე ჩვენს ისტორიას, მაინც არ დაიჩრდილება, არ მოისპობა ის გრძნობა, რომელიც საზრდოობას ჰპოვებდა ხანგრძლივ ჩვენს არსებობაში, ტანჯვით, წვალებით, სისხლის ღვრით მოპოვებულ ეროვნულ სიცოცხლეში.

მართალია, დღევანდელ პირობებში ძალიან ხშირად ჩვენ იძულებული ვართ ვდუმდეთ. მაგრამ ვინ არ იცის, რომ დუმილი ტანჯვას უფრო აძლიერებს და არ აწყნარებს, ხოლო ძნელია იქ მაინც დუმილი, როცა ეს ტანჯვა, ეს აწიოკება არ იცი, თუ რისთვის მოუყენებიათ. ააწიოკეს სოხუმის ოლქში სოფელი პარნაუთა, ოთხას სულს სახლი თავზე დაანგრის და ტრიალ მინდორზე დაყარეს.

ნუ თუ ხალხმა არ უნდა იკითხოს: რისთვის? რა დანაშაული მიუძღვის ამ წყნარ, სოფლის მუშა ხალხს? ნუ თუ მას ნაკლები უფლება აქვს იმ მიწაზე, რომელიც თავის სისხლით და ოფლით მოურწყავს? შეიძლება ბევრმა არც კი დაიჯეროს ასეთი ამბავი, მაგრამ აი თქვენ წინ დებემა: „დღეს, 15 იანვარს, ნაშუადღევს 2 საათზე, ადმინისტრაციის მოხელეებმა დააქციეს მთელი ჩვენი შენობები, ნივთები გამოჰყარეს გარედ, სასიმიინდეების ბოძები დასტრეს და ჩვენი წლის სარჩო სიმიინდი ცის ქვეშა ყრია. ჩვენ, ოთხასმა სულმა, აღარ ვიცით, რა ვქნათ და სად წავიყვანოთ ბავშვები და ავადმყოფნი. სრულიად უსახსროდ დავრჩით. გთხოვთ ჩვენი უბედური მდგომარეობა აღუწყოთ მის ბრწყინვალეობას კავკასიის ნამესტნიკს“.

ოთხასი კაცი ააოხრეს შუა ზამთარში, როცა



სახლის პატრონსაც კანონის ძალით უფლება არ აქვს მდგმური დაითხოვოს, ხალხს საკუთარ ქაზებს უნგრევენ, უნადგურებენ წლის სარჩოს, ერეკებიან, თითქო ცოფიანა ძაღლები იყვნენ. და აი ესლა პარნაუთელი გლეხი ყავარჯნით ხელში წვრილშვილით გარშემორტყმოული დადის უბინაოდ, უკვლოდ, მშიერ-მწყურვალე და შესჩივის კლდეს და ღრეს: რისთვის? მასთან ერთად მთელი ჩვენი საზოგადოებაც აღშფოთებული, შეურაცყოფილი გაიმეორებს: რისთვის? რისთვის გვაოხრებენ და გვაწიოკებენ?

ლ.

ჩვენი საზოგადოების საშუალებოვ.

საანბანო ქეშმარიტებად არის აღიარებული ის აზრი, რომ საზოგადოებრივ ცხოვრების კეთილ-დღეობა შედგება თვით ხალხის ქონებრივ ჯეროვანად განვითარებისა; ჩვენში კი ყოველივე მოვლენა სულ სხვანაირად ხდება, თითქოს ჩვენთვის სავალდებულო არ იყოს საერთო კაცობრიული დაკვირვება, ქეშმარიტებად მიმჩნეული მცნება: თითქმის ყოველ თვეში არსდება ახალ-ახალი ფართო გეგმით აღვსილი პერიოდული გამოცემანი; ყოველ წელში ერთი, ან ორი რამე კულტურული საზოგადოებრივი დაწესებულება უსათუოდ შეემატება ჩვენ ქონებით და მოღვაწეობით ღარიბ საზოგადოებას.

სასიამოვნოა, სახალისო, სანუგეშო ეს მოვლენა, რომ ყოველივე საკეთილო დაწესებულება ჩვენში „ცივ ქვანდ“ არ იყოს დაფუძნებული.

ვინც მცირეოდენად მაინც ადევნებს ყურადღებას ჩვენ ცხოვრებას, ის არ შეიძლება არ შეშინდეს იმ მოვლენით, რომ ჩვენი ხალხის უმრავლესობა თითქმის დღითიდღე ღარიბდება; ყოველივე შეძენილი კაპიტალი ჩვენს ხალხს ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ხელიდგან გამოეცალა: გურია ერთად ერთი მდიდარი და დაწინაურებული ნაწილი ჩვენი სამშობლოსი სწორედ გადაგვარების გზაზედ არის დამდგარი; მთელი იმერეთი განადგურებული, აოხრებული, გაკოტრებულია. აღამაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ არ ახსოვს საქართველოს ასეთი ხალხის ქონების დანგრევა-აოხრება. ამისთანა დროს ჩვენი შეგნებული, ხალხის ერთგული მოწინავე თაობა, საზოგადოებრივი აზრის გამომხატველე დღე და ღამე განუწყვეტლად უნდა ფიქრობდეს, მეცადინობდეს იმაზე, თუ რა საშუალება გამოიგონოს ჩვენი ხალხის სახიფათო, საშიშარ განსაცდელისაგან გამოსახსნელად, ჩვენ ყურნალ-გაზეთებში კი ამ დროს ქართველი საზოგადოების აზრთა ხელმძღვანელნი, უმეტეს შემთხვევაში, იმას ადევნებენ ყურადღებას, თუ ვინ რომელ სკამზე დაჯდა სახელმწიფო საბჭოში, ან სათათბიროში.

ჩვენ დღემდის ვერ შეგვიგნია ის, რომ ვერავინ ვერაფერს ვერ გვიშველის ჩვენ, თუ ჩვენ თითონ პრ ვიფიქრებთ ჩვენს თავზედ: თვით ქვეყნის მმართველნი, რომლებიც დანიშნულება უნდა იყოს სუსტს და ძლიერს ერთნაირად სამართლიანად მოექცენ, მხოლოდ იმას აქცევენ ყურადღებას, ვინც თავის სიძლიერით ისე აყენებს საქმეს, რომ მისი დაჩაგვრა არ შეიძლება; ამის მაგალითებს ჩვენ ბევრს ჩვენ დათვ ჩვენ ყოველ დღიურ ცხოვრებაში. ჩვენ უნდა შეურიგდეთ იმ აზრს, რომ ჩვენი ცხოვრების გარეშე არ არსებობს საშუალება ჩვენი ხსნისა. მწარე ცხოვრების გამოცდილებისაგან ის აზრი გამოვიტანე, რომ ჩვენ ეხლანდელ პირობებში არა თუ ვინმეს „წყალობის“, შებრალების და სამართლიანობის იმედი არ უნდა გვქონდეს, იმ ჩვენებურ საზოგადოებრივ დაწესებულებასაც ზურგი უნდა შევაქციოთ, რომლის ბედ-იღბალი, კეთილ-დღეობა დამოკიდებულია ჩვენი ხალხის მოპირდაპირე-მოწინააღმდეგე ადამიანებისაგან. ორმოცი წელიწადია არსებობს ჩვენში ქალაქის თვით-მართველობა და სასტიკი მსჯელობით რო შეეხედოთ, რა გაუკეთა მან ჩვენს ხალხს? რა დაწესებულება, რა საქმეა ისეთი დაარსებული, დაფუძნებული, რომ საშვილიშვილო სახსოვრად, ხალხისათვის არსებითად საჭირო—სასარგებლოთ ითვლებოდეს: ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა იმ დაწესებულებაში, სადაც პოლიციის მოხელეებს გავლენა—მნიშვნელობა აქვთ, ფსიხიკით მოხელეობის თვისება: მორჩილება—თაყვანისცემა უნდა შეისისხლ-ხორცონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ან უნდა საქმეს ავნონ, ან თვითონ დაიჩაგრონ. ასეთია მმართველთა და მორჩილთა ურთიერთ დამოკიდებულების სავალდებულო წესი; ამის შეცვლა შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი გონებრივი მუშაობა-მეცადინეობით და არა ერთბაშად, ერთი, ან ორი კერძო ადამიანის სურვილით. თუ გვინდა, რომ ჩვენი შრომა ნაყოფიერი იყოს და თანაც პირადი ღირსება: დამოუკიდებლობა, თავმოყვარეობა მცირეოდენად მაინც შევიანახოთ ამ წამხდარ დროში, საჭიროა თავისუფალ, თვით ცხოვრების არსებობისაგან გამოწვეულ საბრძოლველ ასპარეზზედ მოღვაწეობაში გამოვიჩინოთ შრომის უნარი და ნიჭი. აი, ერთად ერთი ასპარეზი, სადაც კერძო ადამიანის ძალ-ღონეს, მეცადინეობას შეიძლება ექნეს გასაფალი, ამ ჟამად არსებულ პირობებში არის სავაჭრო-სამრეწველო ნიადაგი. ყოველრვე ხანას საერთო კაცობრიულ ცხოვრებაში თავის შესაფერი ხასიათი, მნიშვნელობა აქვს: როგორც საშუალო საუკუნოებში ადამიანის ან ერის მნიშვნელობა, ძალა, გავლენა დამოკიდებული იყო მიწათმფლობელობის ფეოდალურ წეს-რიგზედ, ისე ამ ჟამად ეხლანდელი კაცობრიობის ბედ-იღბალი ვაჭრობა-მრეწველობის ჩარხის ტრიალზედ არის დაფუძნებული. რა თქმა უნდა, 1910 წელს, ე. ი.

ჩვენ ისტორიაში შესამჩნევ ხანის 5 წლის განვლის შემდეგ საჭირო არ არის იმის განმარტება, რომ ქართველები ან, თუ გინდ მთელი რუსეთი ვერ შესცვლის ერთბაშით მთელი კაცობრიობის ცხოვრების ჩარხის ტრიალის წესს; მხოლოდ უარყოფა იმის, რაც ცხოვრებისათვის აუცილებელ საჭიროებად არის ცნობილი, არის ისეთივე წესი, როგორც დასუსტებულ ავთომყოფისაგან გადაქცევა ჯანის მოსამატებლად ექიმისაგან გამოწერილი წამალით. ასეთ ეხლანდელ დროში საანბანო კემპარიტებად მიმჩნეულ აზრებს ვკადაგობდით ჩვენ 1905 წელსაც, მაგრამ მაშინ, რა თქმა უნდა, უბად ასაღებ, სასაცილო საგნად იყო მიმჩნეული ასეთი „ხულიგანური“ მსჯელობა. მე სრულიადაც არ მინდა ვინმეს უსაყვედურო, ან შევებო გაკვრითაც ჩემი წერილით, პირიქით ყოველივე, რაც მოხდა, უფრო მთელი ჩვენი ეხლანდელი ეგრედ წოდებული მოწინავე საზოგადოების—ინტელიგენციის ბრალია და არა რომელიმე ერთი ჯგუფის, ან პარტიის. ჩვენ მთელი უკანასკნელი ასი წელიწადი გვეძინა, სრულიად მოუშადებელი ვიყავით ყოველივე ჩვენი ცხოვრებისაგან წამოყენებული კითხვებისათვის, მთელი ჩვენი ახალი თაობის და შეგნებული, განათლებული საზოგადოების აზროვნება ორიგინალურ—თავისებურ, ჩვენი ეროვნული თვისების შესაფერვარჯიშობას მოკლებული იყო: ჩვენი ხალხის საჭიროება; მოთხოვნილება სხვანაირია და ჩვენი ცხოვრებისათვის მომზადება, აღზრდა, აზროვნება, შეხედულება სრულიად შეუფერებელია ჩვენ მშობლიურ ნიადაგისათვის; ყოველივე ჩვენგან შეძენილი ცოდნა შეუფერებელია ჩვენი ხალხის მოთხოვნილებასთან, ჩვენი ყოველ დღიური მოქმედება ეწინააღმდეგება ჩვენი ხალხის სულიერ თვისებას—ფსიხიკას, ამიტომაც ჩვენ დღემდის ვერ ვგრძობთ იმას, რაც ჩვენ ხალხს აწუხებს; რაც მას უნდა, ჩვენ დღემდის ვერ დავახლოვებივართ ხალხს, წინააღმდეგ ხალხის სალი, კეთილი, მრთელი შეხედულება, გონივრული ცხოვრების დაკირვება ჩვენ გავრყვენით, წაუბლწეთ ხალხისთვის უცხო, შეუფერებელი თეორეტიკულ მოსაზრებანით; მაგრამ კმარა, ამაზედ სჯაბაასი შორს წავიყვანს და ჩვენს პირდაპირ დღევანდელ საგანს ავსცდებით. მე მინდა ვსთქვა, რომ არსებითი საჭიროებაა ამ ყამად ჩვენი ხალხისათვის ვაჭრობა-მრეწველობის საქმეების რიგიანად, ნორმალურად განვითარება.

არსად მთელ ქვეყნიერებაზე იმდენი შრომა, ენერჯია, მეცადინეობა სავაჭრო საგანზედ არ ეხარჯება კერძო ადამიანს, რამდენიც ჩვენებურქართველ ვაჭარს: არსად ევროპაში მცირეოდენად შეძლებული წვრილი ბურჟუა იმდენ დროს არ ანდომებს შავ მუშაობას, ნოქრობის მოვალეობის ასრულებას, როგორც ჩვენებური ვაჭარი: 12—14 საათის სამუშაოდლე მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა და ისეც,

უმეტეს შემთხვევაში, დახშულ, მოუწყობელ, სიმრთელისათვის მაენე გარემოებაში; მიუხედავად ამისა არსად დედა-მიწაზედ ქართველ ვაჭარზედ ნაკლები მოგება არც ერთ წვრილ ფეხა ბურჟუას არ აქვს. რა არის ამის მიზეზი?

ნუ თუ ნიჭი, გონიერება აკლია ჩვენს ხალხს? წინააღმდეგ, რამოდენიმე წლის ბეჯითი დაკვირვებისაგან გამოვიტანე ის აზრი, რომ ჩვენებური საქმის კაცებისთანა გამჭირახი, სწრაფ მოსაზრებიანი გონება, ცხოვრებაზედ ღრმა ფილოსოფიური დაკვირვება და შედარებით პატიოსნება—ადამიანური ღირსება იშვიათი მოსაძებნია ევროპიულ ცხოვრებაში. მაშ რა უშლის ხელს ჩვენებურ „საქმის კაცებს“, რომ 12—14 საათის ყოველ-დღიურ თავისნებით სავალდებულოდ დადგენილ მუშაობის შედეგად ძლივს იმდენ ფულს აგროვებს, რომ დიდის გაჭირვებით ცოლ-შვილს არჩენს და თავის მუდმივ არსებით მოთხოვნილებას იკმაყოფილებს? ეს უცნაური მოვლენა მხოლოდ მით აიხსნება, რომ ჩვენ ხალხს პატრონი არ ჰყავს: როგორც ობოლი ყმაწვილი, რა ნიჭისა და გონების პატრონიც არ უნდა იყოს ის, ყოველთვის დაჩაგრულია უქირისუფლობის მიზეზით, ისე მთელ ერს და განსაკუთრებით კერძო წოდებას დაეტყობა საერთო მზრუნველის, ზედამხედველის, კეთილ-განწყობილი დაწესებულობის უქონლობა.

სადაც უნდა წავიდეს ჩვენებური ხოფლელი, ვაჭარი, მღვდელი, აზნაური, მუშა, ყოველგან რაღაც უპატრონოდ გრძნობს თავს; არავინ შინაური, თანამგრძნობელი, შემწე არ სჩანს, ამიტომაც ყოველი წოდება და ყოველივე საქმე ჩვენში დაჩაგრულია, დაქვეითებული, დაღუპული. რაკი პოლიტიკური ჩვენი მდგომარეობის გამოკეთების შეახებ ოცნებაც საშიშროა, მაინც იმ სფერაში გამოვიჩინოთ ჩვენი ხალხის პატრონობა, სადაც საზოგადოთ მოთვალეობა არსებული კანონების მხრივაც აღძრძალული არ არის: ასეთია ერთად ერთი სავაჭრო სამრეწველო საქმეები და დაწესებულებანი. რა არის თავი და თავი მიზეზი იმისა, რომ ჩვენში სავაჭრო სამრეწველო საქმეები შეფერხებულია? მხოლოდ ის, რომ ჩვენებურებისათვის არ არსებობს არსად ისეთი საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის ზრდა-ვარჯიშობის საქმეს ხელს უწყობდეს, ეხმარებოდეს.

ნიკო თავდგირიძე.

(შემდეგი იქნება)





სატრფოვ-ყვავილო!

(ჰანგი)

— : —

სატრფოვ-ყვავილო!
 შენი მშვენება,
 როგორ გამოვსთქვა—
 ვინ შეგედრება?:—
 დილით ცის-ნამი
 მკერდზე გეხვევა,
 გკოცნის, გიხუტებს,
 ცრემლად გეფრქვევა;
 ოქროს ფრთიანი,
 ანცი პეპელა
 შენს ლბილ ტუჩებზე
 ბაასობს ნელა:
 კორდით მომსკდარი
 წყარო-ოცნება
 შეგცინის, პირს გბანს,
 თავსა გველებს!
 შენ კი ამაყად
 აკმევ სურნელსა,
 მაგრამ ვერავენ,
 ვერ გახლებს ხელსა
 ახ, თვალის ჩინო.
 შენი მოწყვეტა,
 რომელ მებაღეს
 ერგება ნეტა?!

ი. გრიშაშვილი.



გ ა ა ს ი

II.

ლ ა ლ ა ს ს ა ჭ ი რ თ .

სიღნაღსა და ლაგოდებს შუა გაქიმულია შესა-
 ნიშნავი სახელმწიფო აგარაკი ქიაური. თუ არ
 ვცდებით ამ აგარაკს უჭირავს 30.000 დესეტინა,
 ანუ 60.000 დღიური მიწა. როგორც ჰხედავთ,
 ქიაური თვისის სივრცით მთელს პატარა სამეფოს
 უდრის, ისეთებს, როგორც იყო ძველად პატარა-
 პატარა რესპუბლიკები საბერძნეთში.

დიდ ველ-მინდვრიანი, ხოლო უტყეო ქიზიყი
 სწორედ ამ ქიაურის აგარაკიდან იკვებებოდა ტყით.
 ქიზიყელს ამ ტყეში რომ აუკრძალო შესვლა, და-
 ილუპება უკვალოდ და ღონიერი კუთხე საქართვე-
 ლოსი უდაბნოდ გადაიქცევა. რადგან ქიაურის აგა-
 რაკი სასერვიტუტო ტყედ გახდა ქიზიყელთათვის,
 ესე იგი კანონმა იცნა მათი უფლება ტყით სარგე-
 ბლობისა განსახდერულ წესით, არავითარი შიში არ
 მოელოდა ქიზიყს, რომ ტყეს ჩამოგვართმევნო. მი-

დიოდა ასე საქმე ძველებურად, თანახმად ადათისა
 და კანონისა.

ამ ოთხიოდ-ხუთიოდე წლის წინად ვილაღ არა
 მკითხე მოამბეს შეშურდა მათი ბედი და დაებადა
 აზრი, რომ ქიაური როგორც სახელმწიფო ქონება
 კარგი ლუკმააო და დაუწყო გაშენება ახალ-ახალ
 სოფლებს. ქიზიყს გული გაუსკდა. საქმე ის კი არ
 არის, რომ რუსებს ასახლებდნენ, საქმე ის იყო,
 რომ ტყე ხელიდან მიდიოდა. რუსი დაიჭერდა
 ტყეს, თუ ნემენცი, სულ ერთი იყო. განა ქართვე-
 ლები რომ გამოჰიმულიყვნენ ქიაურაში, ქიზიყელე-
 ბი პირს გადაუკოცნიდნენ ახალ-მოსულებს? სრუ-
 ლიდაც არა.

აღშფოთებული ქიზიყი ეცა მთავრობას, რას
 გვიშვრებით, ტყე საჩვენოა, სხვა კაცს რად უშვებთ
 ტყეშიო. თუ ხელს არ აიღებთ, სამართლით მოგ-
 თხოვთ პასუხს და ზარალს გაზღვევინებთო. შედრკა
 თამამი მოხელეობა და დაუთმო ქიზიყელობას, მხო-
 ლოდ ითხოვა, რადგან რამდენიმე სოფელი უკვე
 გაშენდა ქიაურის ტყეში, აყრა და გადასახლება
 მოუხერხებელია და ერთი 5000 დესეტინა დაგვი-
 თმეთო. ქიზიყი მოერიდა დავი-დარაბას და დაუთმო
 ხუთი ათასი დესეტინა, ოღონდ მომავალში ნულარ
 გაბედავთ ქიაურში შესვლასო,

ასე დასრულდა ეს დიდ მნიშვნელოვანი საქმე.
 ერმა უნარი გამოიჩინა და გაიმარჯვა.

სახელმწიფო ქიაურას ზედ აკრავს თ. დ. ჩო-
 ლაყაშვილის ქიაურა, ზომით 3500 დესეტინა. გა-
 ნათლებით აგრონომმა დიდი ამაგი დასდო მამულს.
 ამხანაგ აგრონომის დახმარებით გაიყვანა არხები,
 შეაკეთა ძველი წისქვილები, ააგო მშვენიერი სახ-
 ლები საოჯახო და სამეურნეო მოწყობილობით და
 სხვა. გაჩაღდა თამბაქოს მოყვანა. მთელი ქიზიყი
 იკვებებოდა სხვათა შორის ამ მამულით. თამბაქოს
 მოსავალმა ძრიელ იმატა და აღმოჩნდა, რომ ტფი-
 ლისის ფაბრიკანტები მუხრუქს უჭერდნენ მეთამ-
 ბაქოებს და თავის ნებაზე ათამაშებდნენ. რა ფას-
 საც იგინი იტყოდნენ, იმ ფასებში უნდა გაეყდნათ
 თამბაქო. მაზანდა ტფილისში ყალიბდებოდა. გინდა
 თუ არა ამ მაზანდაზე უნდა გაყიდულიყო თამბაქო.
 სწორედ რომ ილუპებოდა ახლად გამოჩეკილი და-
 რგი მეურნეობისა.

ბრძოლა იყო საჭირო ამ უხამსობასთან და
 ჩოლაყაშვილ მაღ იწყო ბრძოლა. ააგო უშველებელი
 ქვიტკირის საწყობნი და შიგ დაალაგა თვისი თამ-
 ბაქო. აქვე მოზიდა ქიზიყმა თამბაქო. უცდიდნენ
 რუსეთიდან მუშტარს, მაგრამ არავინ ეკარებოდა
 აუარებელ ქონებას და ერის სიმდიდრეს. ჩოლაყა-
 შვილმა დააგირავა სახელმწიფო ბანკში თამბაქო,
 რომ მცირედი ნაწილი თამბაქოს ფასისა მაინც დაე-
 რიგებინა გაჭირვებულ ხალხისათვის, ვიდრე პირიან
 ფასებში გაიყიდებოდა თამბაქო. ვალად აღებული
 ფული ხალხს დაურიგა და თვითონ რუსეთს წავიდა

მუშტრის საშოვნელად. მთელი რუსეთი „დალარა“ ჩოლაყაშვილმა და ძლივს იშოვნა მუშტარი, მაგრამ ვაი ამ შოვნას. როსტოველ ფაბრიკანტმა კუშნარევმა ისეთ ფასებში აიღო თამბაქო, რომ აღებული ფული ბანკის ვალსაც ვერ უხდებოდა.

დაიღუპა მშვენიერი მჭურნეობა. დავალიანებული ჩოლაყაშვილი იძულებული გახდა მიეყიდა ჭიაურა საგლეხო ბანკისათვის. თვითონ დაინარჩუნა მხოლოდ რაღაც 200 დესეტინა, სახლი და წისქვილები.

დაიწყო ახალი ხანა ჭიაურას მატთანში, გაჩნდა ახალი სადავადარაბო საქმე. ვინ იყიდა ბანკიდან ჩოლაყაშვილისეულ ჭიაურას, იგივე ქიზიცი, რომელიც წინად სარგებლობდა იქ ტყით, სახნავსათესით, საძოვრით და სათამბაქო ადგილებით, თუ სხვა ვინმე, სულ ერთია ვინც უნდა ყოფილიყო შორიდან მოსული: რუსი, ნემენცი, ქართველი, თუ სომეხი.

კეთილმყოფელის სიტყვა შეისმინეს და საყიდლად გაემზადა ოთხი სოფელი: ჯუგაანი, საქობო, ტიბაანი და მაშნაარი. დიდის წვალების და ვივაგლახის შემდეგ საქმე გაიჩარხა და ეს ოთხი სოფელი მოუტრიგდა ბანკს. თვითოეული მათგანი იღებდა ნაწილს მამულისას, ხოლო ესე 800—900 დესეტინა ეძლეოდა მეზობელ რუსების სოფელს.

მაშნაარი მალე ხელიდან გასხლტა—თავი არა გვაქს ჭიაურისა, ვერ შევალთო და ხელი აიღეს ყიდვაზედ, თუმცა-კი ყველაზე დიდად ამათ ეჭირვებათ მამული. დარჩა ტიბაანი, საქობო და ჯუგაანი. ამათ შეიტანეს ბე, რომელიც გამოიტანეს სამეურნეო თანხიდან.

გთხოვთ არ დაივიწყოთ, რომ ბე ჯიბიდან არ ამოულიათ, გამოიტანეს ხაზინიდან ის ფული, ნაწილნაწილ რომ გროვდებოდა. ეს ფული ჩვენებურ გლეხობას დაკარგულად მიიჩნია და აგრე რიგად არ აფასებს, თუმცა-კი მისი პირდაპირი დანიშნულება სწორედ მამულის ყიდვაა.

ჯუგაანმა როგორც იყო მოაწყო საქმე, ჩაიბარა ნაყიდი მამული და დანიშნა კამისია, რომელსაც დაავალა მოუაროს ნაყიდ მამულს, აძლიოს ბანკს ხვედრი სარგებელი და სხვა. საქობოელებს და ტიბაანელებს კი ღმერთი გაუწყრათ და იღრიალეს—ალარ გვინდა მამული, თავი არა გვაქვს მოვლისა. საქობოს წარდგენილი აქვს ბედ 9000 მ. და ეს ამოდენა ფული დაიკარგება, თუ მართლა პატრონი და ლალა არ გაუჩნდა ამ გადარეულ სოფელს, რომელიც უნარს მარტო ღრიალით იჩენს.

ესლა დარჩენიათ ბნელ, გონება დაბნეულ ერის მოკეთებებს, რომ დაუყოვნებლივ ლალები ამოუჩინონ და დაუყენონ ტიბაანსა და საქობოს. იმას იძახიან, ვერ მოუვლით საერთო მამულს, შევქამთ ერთმანეთს, მგლები ვართო, ვისაც მივანდობთ საერთო საქმის გამგეობას, დავგლეჯავსო. რაკი ასეთია

საქმის ვითარება, მეტი რა ჩარაა, საქიროა ეხლავე ლალისა და აპეკუნის მიჩენა, ვიდრე ისწავლიან თავის მოვლას და პატრონობას.

ა. ფრონელი.

ბატანჯული ლამე

(ს უ რ ა თ ი)

(ვუძღვნი ფ. გოგიჩაიშვილს.)

ფერდობზე მოფენილს სოფელს №-ს, რომელიც ისეა ჩაფლულ-ჩამალული თოვლში, რომ გლეხის მოსახლეობას ძლივს გააჩრევს ადამიანი, მაღლობიდან ამაყად და მედიდურად გადმოსცქერის უზარმაზარი ორ სართულიანი ქვითკირის სახლი თავად ლევან მამულაძისა.

თავადის სახლი თავისი სიდიდით ისე ერჩევა გლეხების ჩაშვებულ, ჩაძველებულ ხის უბრალო შენობებში, როგორც გოლიათი ქონდრის კაცებში. ხოლო თავისი გარეგნობით—როგორც ზღაპრული ხელმწიფის გასათხოვარი ქალი თავის მონებსა და მოახლეებში.

შუალამეა. სოფელსა სძინავს. აქა-იქ ლამის სიცივეში ყრუდ მოისმა ზანტი ყეფა ძაღლისა, რომელიც შენობის ქვეშ საცოდავად მოკუნტულა, მთელი ტანით ცახცახებს და უფრო იმიტომ ჰყეფს, რომ სცივა და ძილი ვერ მოუხერხებია. ოჯახის დარაჯობა იმას მაინცა და მაინც ძალიან არ აწუხებს.

კარში მეტად ცივა, ჰყინავს, მოწმენდილ-მოკაშკაშებულ ციდან უგულო მთვარე და მოციმციმე ვარსკვლავები ცივად დაჰყურებენ თოვლით გაცივებულ დედამიწას და მათ შუა გამოაწყვდებულ ჰაერს თითქოს ხორცი შეუსხამს და საგნად ქცეულა, საამურად ტკიცინებს. ყველასა და ყველაფერს სუსხავს, აციებს, ჰყინავს.

სანთელი არსად არ ანთია. მხოლოდ მამულაძის ზედა-სართულის ერთ-ერთ ოთახიდან გამოსქულის სინათლე. ჩაწეული ლამპარი მკრთალად ანათებს ოთახსა და ოთახის მოწყობილობას. კედელზე თავიდან ბოლომდის გრძელი, ფართო ხალია ჩამოკიდებული. ზედ მიკრულია უშველებელი ირმის რქა. რქაზე აჩონჩხილია სხვა და სხვა იარაღი—ყანწები და სხვა. კედლის ძირში სდგას იმავე ხალით გადაფარებული მოკლე, მაგრამ განიერი ხის ტახტი და ტახტზე გაშლილ ლოგინში წევს თვით ლევან მამულაძე—ყმაწვილი, ჩასუქებული, ლამაზი სახის კაცი—და პირდაღებული სძინავს.

თავადის ოთახშიაც არც თუ ძალიან თბილა. ბუხარში შეშა მთლად ჩამწვარა და უკვე მიფერულია, მაგრამ ლევანი ყელამდე გახვეულია ორ სქელ შალის საბანში და თბილადა სძინავს, მაგრამ ადამიანი ვერ იტყვის, რომ ტკბილად ეძინოს.



სიჩუმეში ნათლად გაისმის მისი მძიმე სუნთქვა და, ეტყობა, რაღაც აწუხებს, თავს რაღაცა კარგად ვერ გრძნობს, რადგან მოუსვენრად ბორბავს ლოგინში და მალ-მალ კისერს იგრძელებს, ტუჩებსა და პირს აცმატუნებს. ეტყობა, აშკარად ეტყობა, რომ ნერწყვი გამოლევია პირში, ყელი ამომშრალი აქვს და ძილში ვერ გარკვეულა, რომ წყალი სწყურია და ეს გარემოება აწუხებს ისე მძლივრად, რომ სახეზე უზომო ტანჯვა აქვს აღბეჭდილი.

სძინავს ლევანს და სიზმრებსა ჰხედავს. ერთი-ერთმანეთზე უცნაური, რთული და გამოურკვეველი სურათები ეხატება მას ძილში, მხოლოდ ესაა, რომ რა ფორმისა და შინაარსისაც უნდა იყვეს მისი სიზმრები, ყველგან წყალი უპირველეს როლს თამაშობს, სიზმრების მთელი შინაარსი წყლის გარშემო ტრიალებს და ამ წყალს ლევანი ჰხედავს ხან მდინარის სახით, ხან მოჩუხჩუხე წყაროსი, ხან წვიმისა, ხან უბრალო და ქურჭელსა, კიქაში და სხვა.

აგერ ლევანი როგორღაც და საღლაც მიადგა ერთ მშვენიერს წყაროს. ცივმა ანკარა, მოჩუხჩუხე წყალმა მოიტაცა ლევანის სული და გული და გაშმაგებით დაეწაფა მას. სვამს ლევანი მეტის მეტი სიამოვნებით და მეტად დიდხანს. მაგრამ სმას, წყურვილის დაკმაყოფილებას სამზღვარი არ უჩანს. აშკარად გრძნობს, რომ სვამს, წყალი რაკრაკით ჩადის ყელში, მაგრამ წყურვილი ვერ კვდება, კიდევ და კიდევ სწყურიან, კიდევ და კიდევ სვამს და სვამს იმ დრომდე, სანამ სიზმარს სხვა სიზმარი არა სცვლის, სანამ გარემოება არ იცვლება და ახლა სხვა სახით არ ევლინება იგივე წყალი.

ლევანი გადმოტრიალდა მარცხენა გვერდზედ, ერთხელ კიდევ მოკუმა გაღებულ პირი, ტუჩები ააცმატუნა, შეინძრა და თვალები გაახილა.

უპირველეს ყოვლისა მას გაახსენდა ნანახი-სიზმრები და მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. აშკარა იყო, წყალი ძალზე სწყუროდა. გახურებული გული გაგრილებას თხოულობდა, ამომშრალი ხახა—სისველეს, პირი—ნერწყვისა.

ლევანმა მძინარე თვალები მოავლო ოთახს და დაინახა, რომ ოთახის ბოლოში, მაგიდას ქვეშ წყლის ლიტრა იდგა. ლიტრაში ნახევრად მეტი წყალი იდგა, ეს იცოდა ლევანმა და სახეზე სიამოვნების ნიავმა გადაურბინა: აი, ახლავ ადგება, მივა, აიღებს, მოიყუდებს ლიტრას და სიამოვნებით დალევს წყალს, მაგრამ... ადგომა იყო საჭირო და ეს გარემოება არ ესამოგნა ლევანს!

ლიტრა ორი საყენის სიშორეზე მაინც იდგა. ლევანი უნდა ამდგარიყო, ჩუსტებში ფეხი წაეყო, მხრებზე რაიმე თბილი წამოესხა და ლიტრასთან მისულიყო, ეს კი ადვილი საქმე არ იყო, მით უმეტეს, რომ ძალზე ეძინებოდა.

ამიტომ ლევანმა დასძლია თავს, მოხუჭა თვალები, მთელი თავისი არსებით მიეცა ძილს და ბა-

ტარა ხანს უკან ოთახში კვლავ გაისმა ლევანის მძიმე სუნთქვა.

შუალამე გადავიდა, მამალი მეორედ ყოდა. ბუხარი მთლად გამოცივდა და ოთახში სიტყვები იმატა.

ლევანს სძინავს და კვლავ სიზმრებსა ჰხედავს.

აგერ ის ცურავს მდინარეში, ყელამდე წყალშია და ატივტივებული წყლის ზვირთებთან ერთად მიექანება ქვევით. ლევანი მეტის—მეტ სიამოვნებასა გრძნობს. წყალი ბევრია, ბევრი. ზვირთები საამურად შემოხვევია მთელ მისს სხეულს, გახარებულს გულს საამურად ეალერსებიან, უტკობენ და ტანჯულს სულს, მაგრამ; უცნაურია, ტანჯვა ტანჯად რჩება, წყურვილი წყურვილად. მაინც სწყურია წყალი, ვერ გამძღარა, სურვილი ვერ დაუქმამყოფილებია.

გავიდა ორი საათი. ლევანს კვლავ გაბოვლიდა და კვლავ მოავლო თვალი ოთახს. ლიტრა ისევ თავის ადგილას იდგა და თავისი შინაარსით კვლავ იტაცებდა ლევანის სულსა და გულს.

არა, საჭირო იყო ადგომა და წყლის დაღევა, თორემ ვერ მოისვენებდა. ლევანმა მტკიცედ გადასწყვიტა—ამდგარიყო და ლიტრასთან მისულიყო, მაგრამ აგვიანებდა და ერთხელ კიდევ მიუგდო ყური გულში ატეხილ ბრძოლას: გაიმარჯვებდა წყურვილი თუ სიზარმაცე?

—უნდა ავდგე, უნდა—არწმუნებდა ის თავის თავს და ადგომას რომ ვერ ბედავდა, გულში ლანძღავდა მოსამსახურე დედაკაცს.

—სულ იმას ვეუბნები, იმ გამოჩერჩეტებულსა, წყალი თავით დამიდგას მეთქი, მაგრამ ვერ შევასმინე, ვერა და ვერა!

—მეტი ჯანი არ არის, უნდა ავდგე—განიმეორა ერთხელ კიდევ ლევანმა და საბნიდან ტიტველა ფეხი გამოჰყო, უნდოდა მხრებიდანაც გადაეგდო საბანი, მაგრამ ფეხზე შესცივდა, საჩქაროდ შეჰყო ფეხი და საბანში უფრო ჩაიფუთნა.

—რა ცივა, ეს ოხერი!—სთქვა ლევანმა და იმის კვლევადიებას შეუდგა, თუ რა სქამა წუხელი ისეთი, რომ ასე მოსწყურდა.


—ლობიომ მიყო, ნამდვილად ლობიომ, ბერი ვჭამე, ყველიც მლაშე იყო,—ჰფიქრობდა ლევანი და ამ ფიქრში კვლავ ჩაეძინა.....

მესამედ რომ გამოვლიდა, უკვე კარგა ხნის გათენებული იყო. ოთახში შემოსულიყო მოსამსახურე დედაკაცი და ბუხარში ცეცხლს ანთებდა. ლევანმა ლოგინში წამოიწია და ძლივს წაილულულა:

—მელანო, წყალი მომაწოდე.

დედაკაცი მივიდა, აიღო ლიტრა და მიაწოდა.

თვალეში არც კი გაუხელია ლევანს, გაშმაგებით სწვდა ლიტრას, მოიყუდა და პირიდან დიდხანს ვედარ მოიშორა, ისე რომ დედაკაცმა გაკვირვებით



წარმოსთქვა—ქა, არ დამრჩევალა წყურვილითა!
 ლევანმა როგორც იყო გაათავა წყლის სმა,
 ლიტრა დედაკაცს მიაჩეჩა ხელში და ბედნიერი,
 კმაყოფილი კედლისკენ გადაბრუნდა.
 —მელანო—გამოიძახა ლევანმა საბნიდან—არ
 გამაღვიძოთ, წუხელი არ მძინებია, გესმის?
 —მესმის, ბატონო!—უბასუხა მოსამსახურემ,
 ფეხ-აკრებით გავიდა ოთახიდან და კარები მაგრა
 გაიხურა.

სვ. ყიფიანი.



სარდაფში

(დასასრული *)

II

ცამეტის წლის წინათ, ასეთსავე ცივ ქარ-ბუ-
 ქიან ღამეში ისევ ისე უჯდა დედაბერი იმავე ბუ-
 ხარს. მაშინ უფრო ახალ-გაზღობ ეტყობოდა.
 გვერდით ეჯდა ექვსი წლის კობტა, თავისი ალალი
 შვილი. ისიც ნაფლეთებში გამოხვეული, ცალ თვა-
 ლასავით მსუნაგად ჩაჰყურებდა ქვაბს. დედაბერი
 ბუზღუნებდა და კარს მისჩერებოდა. ვილაცამ დაარა-
 ხუნა, კარი გაუღეს და ოთახში ჩამოვიდა, თედო
 გლახა—ოჯახის მამა და უფროსი. ზურგიდან ფრთხი-
 ლად გადმოიღო ტომარა, იქაურობა მიათვალიერა,
 კარები დაკეტა, ტომარა გახსნა და ამოიყვანა ორი
 წლის გოგო, რომელსაც პირი ქუქყიანი ცხვირსა-
 ხოცით ჰქონდა აკრული.

პირი აუხსნეს და გამოიჩნდა ლამაზი მარგალიტა.

—კარგია,—სთქვა დედაკაცმა და დაუწყო
 ბავშვს სინჯვა, თითქოს დასაკლავი ბატკანიაო. რათ
 გინდოდა ასეთი სათუთი. მახინჯი ვინმე არ გვერ-
 ჩინა? ეს ისეთი ლამაზია, რომ არავინ შეიბრალებს.

—არა უშავს რა, თუ ლამაზია, დამახინჯება
 ხომ აღვილია. ერთი განურებული შანთი სულ დაუ-
 დაღეს ამ სახეს.—სთქვა გლახამ გულ გრილად და
 ცეცხლს მიუჯდა.

პატარა გოგო გაშემებული იდგა, არც შიშს
 გამოსახავდა მისი ანგელოზური სახე და არც აღელ-
 ვებას. ძალზედ იყო გაფითრებული, სიცივით კან-
 კალებდა და თვალ გაშტერებით ჩასცქეროდა ცე-
 ცხლსა.

—აქ დაჯექი, პატარავ, გათბი. საწყალი რო-
 გორ გაციებულა.—გაისმა კოსტას ბავშვური, წკრი-
 ალა ხმა. მოჰკიდა ხელი, თავის სკამზე დასვა, ცა-
 ლი მუხლით დაუჩოქა გვერდით და დაუწყო გაყი-
 ნულ ხელების სრესა.

—დაგიკვირდა.—უთხრა ცოლმა გლახას, წინ

ფეხ მოტეხილი სკამი დაუდგა და ზედ სუფრა გაუ-
 შალა.

—შენი სახელი?—მიუბრუნდა მარგალიტას.
 ბავშვმა რაღაც ნაირათ მოჰქუტა თვალიაი.

—ლაპარაკი არ იცის. მარგალიტა დავარქვი.

—საიდან არის, ან როგორ მოახერხე?

—შორიდან არის, ორი დღეა ფეხით მოვდი-
 ვარ ტყე-ტყე, გზათ სიარულს ვერიდებოდი... ჰი,
 როგორ მოვახერხე!

—თედო ბიჭს ბევრი რამ მოუხერხებია. ხომ
 გახსოვს, ამას წინად ბერძნებს რომ მოუყვანე ორი,
 ეს რაღა ძნელი იქნებოდა? დიდი კაცისა იქნება...
 ყინულზე საცურაოდ გამოსულიყვნენ... სულელ
 მოსამსახურეს მარტო გაეშვა გზის პირას და თავად
 თავდაღმართზე ცურაობდა. ბინდის დრო იყო, ქი-
 შმიშით მოვიტყუილე. მენდო სულელი...

—ზოგი ბავშვი ყველას ეკარება. ვინც უნდა
 იყოს.—ჩაუბრუნა ცოლმა და კიდევ შეხედა ბავშვს.

—პირში მჩვარი ჩაუდეს, ტომარაში ჩავაგდე,
 ეს ჩემი ფარაჯა წამოვასხი და გზას გამოუდექ. ორი
 დღის უქმელია.

ქალმა ხორცის ნაჭერი აიღო და მიაწოდა
 ბავშვს. ბავშვმა არ აიღო, კოსტამ ჩამოართვა დე-
 დას და თვითონ მიაწოდა. იმ დღიდან მარგალიტა
 დაერქვა პატარა უცნობს.

კოსტა მფარველ ანგელოზად გაუნჩნდა. არ
 იქნა, ტირილით ოავი მოიკლა და ხელიც არ ახლე-
 ბინა გულ-ქვა მშობლებს, რომ არ დაემახინჯები-
 ნათ იგი. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, ბევრი
 ისეთი ყმაწვილი მივიდა ამ უცნაურს ოჯახში. ზოგი
 სად გაეყიდნა. ზოგიც გარდაიცვალა. მარგალიტა კი
 დარჩა პატარა მაწანწალად, ჩამოგლეჯილ მათხოვ-
 რად. ისიც იზრდებოდა და კოსტაც. მთელი დღეო-
 ბით ერთად დახეტილობდნენ ქუჩიდან ქუჩაში,
 ხან რას მისჩერებოდნენ, ხან რას. უფრო ხშირად
 თამაშობდნენ, ვიდრე მათხოვრობდნენ. კოსტას დიდ
 ხანს აღარ უვლია, როგორღაც ეზიზღებოდა ეს ხე-
 ლობა. არც თუ მარგალიტას იზიდავდა, მაგრამ
 რა ექნა, ის ხომ მონა იყო, მონა თავ დაუხსნელი,
 რომელსაც დედა-ბერის ერთი შებღვერა შიშის
 ზარს სცემდა. კოსტა შვილი იყო, იმას ანებივრებდა
 და სხვების ნაშოვარს იმას აჭმევდა. კოსტა დადიო-
 და ქალაქის უსაქმურებში და თვითონაც გასალახან-
 და. ბოლოს მამა მოუკვდა, მოწყალე გულის და
 თან მკვირცხლი გონების პატრონი ბავშობიდანვე
 დაკვირვებით უყურებდა ცხოვრებას, შემდეგ გაიცი-
 ნო ისეთი რიგიანი ხალხიც როგორიც იყო მეჩექმე
 აკოფა. ბევრი რამ და სასარგებლო გაიგონა
 და შეითვისა იმ პატიოსან მშრომელ კაცი-
 სავან. თანდათან შესძულდა მათი ცხოვრების პირო-
 ბები და ბოლოს გადასწვიტა კიდევ პატიოსან
 შრომის გზაზე დამდგარიყო. უყვარდა მარგალიტა?
 ძნელი იყო ამის თქმა. ბავშურ მეგობრობის ხანამ

*) იხ. საქართველოს მოამბე № 12.

რომ გაირა, ერთმანეთს დაშორდნენ სულიერათ და სხვანაირათ დაუწყეს ცქერა ერთმანეთს. მარგალიტას ყურამდის მიხწეული იყო, რომ ძმა კოსტა ნათესავი არ იყო იმისი. ახალგაზრდა, ლამაზმავაჟის სიახლოვემ რაღაც გავლენა იქონია იმაზე და მადლიანი სინათლე გაუშუქა გულში... საღამოობით თავის და უნებურათ ადრე მოეშურებოდა სახლში, რაღაც იზიდავდა, რაღაც გულის გამართობელი ეგულებოდა. კოსტა კი სხვა ნაირად განიცდიდა ამ გრძნობას... ხშირად შეუმჩნევლად დასდევდა უკან, თვალს ადევნებდა ყოველ მის ნაბიჯს, რაღაც ეჭვი უღრღნიდა გულს და თუ ვინმე კაცთაგანი ღმობიერათ შეხედავდა ლამაზ მათხოვარის, კოსტას სიბრაზეს სახლვარი არ ჰქონდა, გულში იხვევდა, სიტყვით არას ეუბნებოდა, საღამოობით, როცა შინ იყვნენ, წარბ შეკრული უყურებდა და მრისხანე იყო. მარგალიტას ნელ-ნელა იპყრობდა შიში და მორიდება და ბოლოს თითქო გულიც გაუცივდა.

III

ცალ თვალამ მართალი უთხრა დედაბერს. იმან საღამო ხანს მარგალიტა ერთ დიდ ეზოში ნახა. იგი გაეჩერებინა კიბესთან ვიღაც ახალ-გაზრდა ქალს და დაყვავებით ელაპარაკებოდა. ქალს ოცის წლის ჭბუკი ედგა გვერდით, სტუდენტის ტანისამოსში გამოწყობილი. სიბრაღულით მისჩერებოდა ნახევრად შიშველ ტიტველ მარგალიტას და ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს.

— გიორგი! დედას უთხარი, ჩემი ნაცვამი ნაცრის ფერი კურტკა და კალოშები მოგცეს, უნდა მივცე, ცოდოა, — უთხრა ქალმა. ვაჟი ოთახში შევიდა, ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა და გამოიტინა რაც დაავალეს. თმა გათეთრებულმა ქალმაც გამოჰყო თავი კარებიდან, მათხოვრისთვის არც შეუხედავს. ისევ შეიხურა კარი და შევიდა სახლში.

— მაშ ეგრე ქენი, ჩემო კარგო! წადი, მოიტანე ის რაღაც ნივთი გაქვს, რადგან ეგრე ძვირფასია შენთვის და მოდი, ჩვენ გასწავლით და ჯამაგირსაც მოგცემთ. შენი მათხოვრობა განა შეიძლება?

— მოვალ, მოვალ, უსათუოდ მოვალ, — სთქვა აღელვებულმა მარგალიტამ და მადლობის თქმა ვერც კი მოახერხა.

— ამელამვე მოვალ, აღარ მინდა იქ დგომა. — უკან დახევით ჩავიდა კიბეზედ, ერთი კიდევ მოიხედა და ღმილით შეხედა ახალგაზრდებს.

— საკვირველია. კაცი კაცს როგორ დაემგზავსება! თითქო შენა გგავს ეს მათხოვარი, სთქვა ქალმა და შეჰხედა ძმას.

— მეც ეგრე მომიჩვენა, თითქოს შენცა გგავს. რომ გიყურებდით, შენი და იმის თმა ერთი და იგივე იყო, — უთხრა დაფიქრებით ძმამ.

მარგალიტას რაღაც მოუვიდა, რაღაცამ გააბრუა, გული ნეტარებით უცემდა. თავის სიცოცხლეში პირველათ გაიგონა ტკბილი სიტყვა, დაყვავება პირველად იგრძნო, რომ შეიბრალეს და ქვეყანაზე გულ კეთილი ხალხიც ყოფილა. კოსტასაც ხომ ვებრალეზოდი წინათ, მაგრამ მერე შეიცვალა, თავის დედას დაემგავსა. ან კი როგორ არ წავედი ამდენ ხანს იმ სახლიდან... ეხლა უსათუოდ წამოვალ. რა კარგები არიან, თავის დღეში არ მოეშორდები მაგათ... ყველაფერს უამბობ, რაც მინახავს... ჩემი მედალიონი როგორ ჩავიგდო ხელში?., სკივრში აქვს დეიდას... ჯამაგირს მოგცემთო... რის ჯამაგირი! ის რათ ეღირება, ესე რომ არ ვიწანწალებ. იმ ხარაზმა რომ მითხრა დღეს, იმუშავეო, რასაკვირველია; წავალ, ეხლავ გამოვბრუნდები.. კოსტა. ის რომ სახლში იყოს? რომ არ გამომიშვას... — ქალი შედგა, შეფიქრდა.. არა, იმას ვეჯავრები კიდევ... გაეხარებდა კიდევ, თუ წავალ... ის სტუდენტი? რა კარგი იყო, როგორ სიბრაღულით მიყურებდა. — მარგალიტას ტვინი ერეოდა. ფიქრები ქარივით დაუქროდნენ გონებაში. ათას რასმეს ფიქრობდა, ოცნებობდა და მომავალ ცხოვრების გეგმას აწყობდა. თოვლიკი სულ მოდიოდა დაუსრულებელივ და თეთრს ბადეს ახვევდა მაწანწალას შავსა და აწეწილ თმებს. ქუჩებში ხალხი ირეოდა. მარგალიტა ვერავის ამჩნევდა და თავის გზით მიეშურებოდა... ფიქრებით გატაცებულს არც გაუგია, როგორ დაარახუნა კარი, როგორ ჩავიდა სარდაფში. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა კოსტას ხელი იგრძნო თავის მკლავზე, ეუსებოვა და უკან დაიხია...

— სად დადიხარ, სად დაეთრევი!.. მე-კი არ მინდოდა? ფული რა იშოვე?.. — სეტყვასავით ზედიზედ დააყარა დედაბერმა...

— არაფერიც არ მიშოვია, მივდივარ კიდევ... ჩემი მედალიონი მომეცით... ის ხომ ჩემია, ჩემი სახეა.

— ვინ გითხრა?

— მე გავიგონე, როცა ლაპერაკობდით, თქვენ გეგონათ მეძინა... მომეცით, უნდა წავიდე... — სთქვა უფრო გაბედვით.

— სად, სად მიდიხარ? — ნელა ჰკითხა კოსტამ და დააშტერდა.

— ადგილი ვიშოვე ბატონებთან...

— აჰა... ქალბატონს დამიხედეთ!.. — დაიძახა დედაკაცმა.

— ნუ ყვირი, შენი ხელქვეითი აღარა ვარ. ძალიან შევსცდი, რომ დღემდისაც არ წავედი.

— მარგალიტა, დედიჩემის ყვირილს ყურს ნუ უგდებ, სად უნდა წახვიდე? ვერსად ვერ გაგიშვებ, — და მოჰკიდა მკლავში ხელი, რომ ბუხართან მიეყვანა...

— არა, უნდა წავიდე. — ნელა გამოეცალა ხე-

ლიდან.—მომწყინდა ამდენი ხეტიალი, დავილაღე... ყველა დამცინის, ყველა მასხარად მიგდებს, სამათ-ხოვრო რა გვირსო... მეც აღარ შემიძლია, დღეს მადლიანი ხალხი გამიჩნდა... დავბირდი, უნდა წავი-დე. თქვენი შვილი მაინც ხომ არა ვარ.

— ხმაში ათრთოლება დაეტყო...

— მარგო!.. გათავდა, დღეიდან ბოლო ეღება შენს ტანჯვას, აღარც დედა ჩემი ივლის, არც ცალ თვალა, არც მუნჯი. მე, მხოლოდ მე ვიმუშავებ, ყველას გაცხოვრებთ, ჩემის ოფლით შევინახავთ... ხვალისა ვიწყებ მუშაობას... ჩემო მარგალიტა, ჩე-მო სიცოცხლე!.. მაპატიე, რაც დაგტანჯე. ჩვენ ხომ ერთად გავიზარდეთ, ხომ ისე გვიყვარდა ერთმანეთი.

— იმათ დავბირდი...—დაილაპარაკა მარგალი-ტამ და დახეულ შალს გრება დაუწყო.

— არ შემიძლიან... შენ ჩემი უნდა იყო, ვერ-სად ვერ გაგიშვებ—დაიძახა კოსტამ. ქალმა თავი ასწია. მათი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს.

გაჰქრა ის სიმკაცრე, ის სიანჩხლე, რომელსაც წინად ხედავდა კოსტას თვალებში. ეს ის თვალები აღარ არის... არც ის ხმა... რა თმა ჰქონია დღეის მეტად არ დაუნახავს... რა ვაჟაკია... სად გაექცევი იმის ძალას...—გაიფიქრა მარგალიტამ.

— მარგალიტა!—კიდევ მოესმა მოსიყვარულე ხმა.

— ჰა!...—შეკრთა. გული აუძგერდა, ტანი აუთრთოლდა, აკანკალდა, გაბრუნდა...—ნუ თუ ვსცდებოდი?.. ნუ თუ უყვარდი?..

მარგალიტა, მაშ მიდიხარ? თავს მანებებ?..

არა... დავრჩებ... ვრჩები.—ოდნავ წაიხურჩულა მთრთოლვარე ტუჩებით.

— ჩემი ცოლი გახდები?

ჰო...

— ჩემო მარგო, მარგალიტა! კოსტამ გაშალა ხელები, არავის არ დაეირიდა, ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა აკანკალებული მარგალიტა.

მეორე დღეს დილით ადრე მხოლოდ კოსტამ ამოაღო სარდაფის კარები, თავის მეგობარ იაკოფს შეუარა და შეატყობინა თავის ამბავი. ერთი საათის შემდეგ ზურგზე წამოიკიდა წყლის „ბოჭკა“ და ყველას დაასწრო კრანთან მისვლა.

შუადღისას სუსტათ გამოანათა ზამთრის მიბ-ნედილმა მზემ. დედა მიწაზედ დაფენილ თეთრ ზე-წარს პირი შეუკრა ყინვამ და ვერცხლსავით ლაპ-ლაპი დააწყებინა. დღისით ყოველთვის ჩაკეტილი სარდაფის კარი პირველად გაიღო და იქაც პირვე-ლათ შეიქრა ზამთრის მზე, რომელმაც კიბეზედ მჯდომ დედაბერს ზურგი გაუთბო და სარდაფში მოფუსფუსე მარგალიტას მომავალ ცხოვრების იმე-დი გაუღვივა.

მარიამ გარიყული.



ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის ლექციები

ქართულ საისტორიო მწერლობაზე.

13, 14, 15 და 16 ამ თვეს ბ-ნმა ივანე ჯა-ვახიშვილმა წაიკითხა, რასაკვირველია, ქართულად, ფრიად საინტერესო ლექციები ქართულ საისტორიო მწერლობაზედ და მაშინდელ საზოგადოებრივ აზრის მიმდინარეობაზედ, რამდენადაც ეს მიმდინარეობა სჩანს ამ საისტორიო მწერლობიდან. ლექციების მთავარი ღირსება იყო—სიუხვე ცნობათა და მათი კრიტიკა, მერმე კიდევ მოხერხებული კონცენტრა-ცია აუარებელ მასალისა, რითაც ბ-ნ. ივ. ჯავახიშვი-ლი მართლაც განირჩევა ჩვეულებრივ პროფესორთა-გან. ოთხ ლექციაში ისეთნაირად გაცნობა მთელი ამ აუარებელი მასალისა, მისი დახასიათება და კრი-ტიკა ისე, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი წვრილ-მანიც არ იქმნას გამოტოვებული, ძლიერ ძნელი საქმეა და ყველა პროფესორს არ შეუძლია.

აი შინაარსი ამ ლექციებისა.

საისტორიო მწერლობა, ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის აზრით, აღბადა უნდა არსებულ იყო წარმართობის დრო-საც, მაგრამ იგი დღეს საუბედუროდ დაკარგულია. ამაში ქრისტიანობას დიდი ბრალი უნდა ედებოდეს, რადგანაც პირველი ქრისტიანები საშინელი ფანა-ტიკოსები იყვნენ და უღმობელად ეპყრობოდნენ საწარმართო ყოველ ნაშთსა, განსაკუთრებით მწერ-ლობასა, თუ სადმე ხელთ მოიგდებდნენ. ამიტომაც პირველი საისტორიო მწერლობა მარტო საეკლე-სიო ხასიათისაა და შეეხება მარტვილობასა, მოწამეთა და წმინდანთა ცხოვრებასა. განა მარტო საქართვე-ლოში ვამჩნევთ ამ მოვლენას. ყველა საქრისტიანო ქვეყანაში დაქვეითდა საზოგადოდ მწერლობა პირ-ველ ქრისტიანობის დროსა, და განსაკუთრებით სა-ისტორიო მწერლობა. თვით საბერძნეთში ისეთნაი-რად დაქვეითდა საისტორიო მწერლობა, რომ შედა-რებით ძველ ბერძენთა წარმართობის ხანის კლასიკურ მწერლობასთან პირდაპირ არაარაობა იყო. იგი მა-ტიანის ხარისხამდე ჩამოქვეითდა. იქაც მარტვილთა ცხოვრება გახდა საისტორიო მწერლობის ნიმუშად.

თუ დიდი კლასიკური მწერლობა ბერძენთა ასე დაქვეითდა, საქართველოში რაღა იქნებოდა, სადაც თვით არსებობა საწარმართო მწერლობისა ჯერ ფაქტი არ არის.

საქართველოშიაც საისტორიო მწერლობა წმინ-დანთა და მარტვილთა ცხოვრების აღწერიდან წარ-მოსდგა. ამას ამტკიცებს თვით ძველი სახელწოდება ისტორიულ ნაწარმოებთა—„ცხოვრება“, რომელიც სახელწოდება იყო რომელიმე წმინდანის „ცხოვრე-ბისა“ და მხოლოდ შემდეგ ნიშნავდა ნამდვილ ის-ტორიულ ნაწარმოებს,—როგორც მაგალითად „ქა-რთლის ცხოვრება“, „აბხაზთა ცხოვრება“, „სომეხ-თა ცხოვრება“ და სხვა.

ეს ცხოვრებანი წმინდანთა იწერებოდნენ ან

ქადაგების სახით მარტვილობის წლის წირვის დროს წარმოსათქმელად, ან და ეპისტოლეს სახით. დროთა ვითარებაში სხვა და სხვა გადამწერლები სრულიად ამახინჯებდნენ ხოლმე ამ ნაწარმოებთა იმ მიმართულების თანახმად, რომელიც ვაბატონებული იყო საზოგადოებაში ან კერძოდ სარწმუნოებაში, — ავსებდნენ უმეტეს ნაწილად სასწაულ მოქმედებათა მოთხრობითა და ამახინჯებდნენ სწორ ისტორიულ ცნობებს. ამიტომაც ეხლა უმეტეს ნაწილს ამ ნაწარმოებთა მეცნიერებისათვის არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. დღეს კი მხოლოდ რამოდენიმე ასეთი უძველესი ნაშთი გვაქვს — ზოგი ხელ-შეუხებელი და ზოგიც დამახინჯებული. ესენი არიან:

- 1) მარტვილობა წმ. შუშანიკისა მესხეთე საუკუნეში დაწერილი, შუშანიკის მოძღვრის იაკობ ხუცესისაგან;
- 2) ათცამეტთა ასსურელ მამათა ცხოვრება, რომლის უძველესი დედანი დაკარგულია, არსებული კი გადამახინჯებული. უეჭველია, რომ ძველი დედანი აღმოჩნდეს, იქ მრავალი ძვირფასი ცნობა მოიპოვება;
- 3) ცხოვრება ვესტათე მცხეთელისა, მეექვსე საუკუნის ნაშთი (დაბეჭდილია საბინინის „საქართველოს სამოთხეში“ დიდის ნაკლითა);
- 4) „ცხრათა ძმათა კოლაელთა ცხოვრება,“ გამოცემულია პრ. მარრის მიერ, მაგრამ საუბედუროდ უთარილოდ მოაღწია ჩვენამდის.

ყველა ამ საისტორიო ნაწარმოებში ჩვენ შეგვიძლია მრავალი ცნობა ვპოვათ, მაგრამ მათ მაინც არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორც იმ დროინდელ მწერალთა ნაწარმოებს, როდესაც ჩვენი ეროვნული მიმართულება ისახებოდა და ვითარდებოდა.

პირველი მწერალი, ჩვენ რომ ვიცით, ასეთის ეროვნულის მიმართულების წარმომადგენელი, არის იოანე საბანის ძე, მერვე საუკუნის მოღვაწე. მას ეკუთვნის „მარტვილობა აბო თბილელისა“. მაგრამ იგი მარტო აბოს ცხოვრების და მოწამეობის აღწერით კი არ დაკმაყოფილდა, არამედ თვით აბოს განსაკუთრებულ პირობებში ცხოვრებას აქცევდა უმთავრესად ყურადღებასა. აბო შთამომავლობით არაბი იყო, მაგრამ განუდგა მაჰმადიანობას, მიემხრო ქართლის ერისთავს ნერსეს და მიიღო ქრისტიანობა, — მაშასადამე მაშინდელ დროის მიხედვით გაქართველდა. მან მარტვილობაც განიცადა. იოანე საბანის ძისათვის თვით ეს მოვლენაა საინტერესო და ღირსშესანიშნავი. მას საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. იგი მოასწავებდა ქართულ საზოგადოებრივობის, ქართულ ეკლესიის სიძლიერესა. აბო, ტომით არაბი, საქართველოში არაბთა ბატონობის დროს ქრისტიანდება და ქართველდება, — მოწამეობის გვირგვინს იღვამს, — მაშასადამე საქართველოს ეკლესიაც და ეროვნული ქრისტიანობაც დიდის სიძლიერითა და ღირსებით ყოფილან აღსავსედა მარტო ბერძენთა ეკლესიის პრივილეგია არა ყოფილა

ეს სიდიადე. იოანე საბანისძე ამიტომაც ავალებს ქართულ ეკლესიას ამიერიდან თავის წმინდანებსაც ჯეროვანი პატივი სცეს და მარტო ბიზანტიისას არ მიაქციოს ყურადღება. თუ საქართველოში წინად ბერძენთა მოწამეებს უფრო მეტს პატივსა სცემდნენ, ვიდრე ეროვნულთ, ეს იმიტომ რომ საზოგადოდ უცხო მგები პატივისცემა აქვს ხოლმე, ვიდრე შინაურსა, მაგრამ აბო ხომ უცხოელი იყო და ქართველობა მიიღო? — მაშასადამე ქართველ ეკლესიასაც ისეთივე პატივი ეკუთვნის, როგორც ბერძენთა ან სხვათაო. — ერთი სიტყვით იოანე საბანისძე ეროვნული მიმართულების წარმომადგენელი იყო მერვე საუკუნეში. და რადგანაც ამ მიმართულების განმტკიცების დროს მსჯელობა უნდა და არა მარტო ცხოვრების აღწერა, იოანე საბანის ძეც სისტემატიურად სწერდა, ლოდიკურად მსჯელობდა და არა მარტო აღწერდა.

ეს ეროვნული მიმართულება მით უფრო ღირსშესანიშნავი იყო საქართველოში, რომ ქრისტიანობას თავიდანვე კოსმოპოლიტური ხასიათი ჰქონდა და ეროვნება მისთვის არას მოასწავებდა. მაგრამ თან და თან ყველა საქრისტიანო საზოგადოება სცილობდა ქრისტიანობა თვის სოციალურ წრესთან შეეგუებია და ამგვარად იგი ეროვნულად გარდაექცია. იოანე საბანის ძეც საქართველოში ამ მოძრაობის წარმომადგენელი იყო მერვე საუკუნეში, და ითვალისწინებდა რა თანამედროვე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მდგომარეობას, ეკლესიის სიძლიერეს, იგი დაასკვნინდა ქართულ ეროვნულ ქრისტიანობის შექმნის კანონიერებასაც. აბო თბილელის ცხოვრება შეიძლება, მხოლოდ მაგალითი, საარგუმენტო მასალა იყო მისთვის.

როგორც ვიცით, მეშვიდე საუკუნეში განხეთქილება მოხდა ქართველ და სომხის ეკლესიათა შორის, და ამ განხეთქილებას ედ აღმოცენდა პაექრობა, ანუ პოლემიკა სომეხ და ქართველ მაშინდელ მწერალთა შორის. პაექრობა იყო როგორც ისტორიულის, ისე დოგმატიურის ხასიათისა. პაექრობა ისტორიულ ნიადაგზედ შეეხებოდა ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში და სომხეთში, დოგმატიურ ნიადაგზედ პაექრობა კი — მრწამსებს, რადგანაც ქალკიდონის კრების შემდეგ სომხები ანტიქალკიდონელები გახდნენ, ქართველები კი მიემხრნენ ქალკიდონის კრების დადგენილებათა.

პაექრობა დიდხანს გაგრძელდა, თითქმის მეტორმეტე საუკუნემდე. პირველი პაექრობა მოხდა ქართველ კათალიკოზ კირიონისა და სომეხთა კათალიკოზ აბრაამის შორის. აქ კირიონ კათალიკოზი უფრო თავს იცავდა, ვიდრე იერში მიჰქონდა. აბრაამ კათალიკოზი კი იერიშით მიდიოდა. ეს უკანასკნელი სწამებდა ქართველობას მართმადიდებლობის ლალატსა და სომხები მართლებად გამოჰყავდა ყოველისფერში.



მაგრამ შემდეგ როლები შესცვალეს სომხებმა და ქართველებმა და არსენი ქართველთა ქათალიკოზი უკვე იერიშით გადავიდა სომხების წინააღმდეგ.

წინად, როდესაც მიზანი სომეხთა და ქართველთა ეკლესიის ერთობა იყო, არ აქცევდნენ ყურადღებას იმ ცნობებს, თუ ვინ გაავრცელა პირველად საქართველოში ქრისტიანობა. ამიტომაც წმ. ნინოს შესახებ კირონ კათალიკოზი არას ამბობს. წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში არ იყო მისთვის უმძიმესი არგუმენტი საქართველოს ეკლესიის სიმართლისა. მაგრამ შემდგომად განხეთქილებისა საქირო შეიქმნა გამორკვევა, თუ როდის და როგორ მიიღეს ქართველებმა და სომხებმა მართლმადიდებლობა, ან ვისგან, — აგრეთვე, თუ როდის და როგორ მოხდა განხეთქილება მათ შორის. მაშინდელ დროში რომელიმე მოციქულის ქადაგებას თუ დაამტკიცებდნენ, ეს უდიდესი არგუმენტი იყო რომელიმე ერის ეკლესიის სიმართლისა და დამოუკიდებლობისა. ან თუ მოციქული არ იყო, განგებ შეთხზავდნენ ხოლმე მოციქულების მოსვლისა და ქადაგების ისტორიას, როგორც ანდრია პირველ-წოდებულის აფხაზეთში ქადაგება იყო გამოგონილი. თუ მოციქულს არა, აგრეთვე მოციქულთა სწორს მქადაგებელს აწერდნენ ეკლესიის დაარსების როლსა, სამშობლო ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებას ამაზედ ამყარებდნენ, და ამ ეროვნული მიმართულების თანახმად გადააკეთებდნენ ხოლმე მის ცხოვრებასაც.

და თუ წინად კირონისა და აბრაამის პოლემიკაში პირველი არც ანდრია მოციქულს იხსენიებდა და არც წმ. ნინოსა, რადგანაც მიზანი სომეხ და ქართველ ეკლესიის ერთობისა ჯერ სრულიად არ გამქარალიყო, შემდეგ, რაც დამოკიდებულება გამწვავდა ხომეხთა და ქართველთ შორის, როდესაც მიზანი უკვე ერთობა კი აღარ იყო, არამედ დამოუკიდებლობა სამშობლო ეკლესიისა, — არსენი კათალიკოზი სწერს თხზულებას „განყოფისათვის ქართლის და სომხეთისა“, და სომეხი უხტნესი კითვის „ისტორიასა“, სადაც იგინი ურთი-ერთს აბრალებენ ყოველისფერსა და იცავენ თავიანთ ეკლესიათა სიმართლესა და დამოუკიდებლობას. მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ არის საისტორიო ნაწარმოები, არამედ საპოლემიკო. მაინც კიდევ იმითია შესანიშნავი, მაგალითად, არსენის თხზულება, რომ იგი აქ პირდაპირ ამტყუნებს სომეხებს, რომ მათ უღალატეს მართლმადიდებლობას: გრიგოლ განმანათლებელი იყო ბერძენი, მან ბერძნული ქრისტიანობა გაავრცელა სომხეთში, დასტოვა ანდერძი სომეხებს მუდამ ერთობა ჰქონოდათ ბერძნების ეკლესიასთან, მაშასადამე ამ ანდერძის ძალით სომეხებს უფლება არა ჰქონდათ არ დამორჩილებოდნენ ქალიკონის დადგენილებათა, და თუ არ დაემორჩილ-

ნენ, მაშასადამე მოღალატენი არიან გრიგოლის ანდერძისა და მართლმადიდებლობისა(კაო.

B.

(შემდეგი იქნება)



ფინლანდია


III *)

„ფინლანდია შეადგენს განუყოფელ ნაწილს რუსეთისა“, ამბობს მეორე მუხლი ძირითადი კანონებისა. ეს აგრე და აგრე უნდა იყოს. ფედრანგამის ხელშეკრულებაში ფინლანდია აღიარებულია, როგორც ნაწილი რუსეთისა. ეს საერთაშორისო ფქმი იმის საბუთია, რომ საერთაშორისო განწყობილებაში ფინლანდიას არა აქვს თავისი განსაკუთრებული ადგილი. იმას ნება არა აქვს იყოლიოს თავისი წარმომადგენელი უცხო ქვეყნებში და დაიცვას თავისი ინტერესები რუსეთისგან დამოუკიდებლად. საერთაშორისო წარმომადგენლობა რუსეთის ხელშია და კაცობრიობის თვანებაში ზოლიტიკურად ფინლანდია არა სჩანს როგორც ერთეული ინდივიდი.

ამ ზემო მთავსანილი მისწრაბით წუდება ის საკითხი, თუ რას წარმოადგენს ფინლანდია: თავისუფალი სახელმწიფოა იგი, თუ უბრალო ზრფავინცა? ფინლანდია არ არის თავისუფალი სახელმწიფო, მაგრამ არც უბრალო ზრფავინცად უნდა ჩაითვალოს. იგი მოკლებულია სუვერენიტეტს, მაგრამ აქვს თავისი საზღვარი, განსაკუთრებით კანონმდებლობა და მართველობა, თავისი ავტონომია.

გაშლეთ რუსეთის რუქა და მის ჩრდილოეთ-დასავლეთში დაინახეთ ფინლანდიას აშკარად ამოხსულს. იმას აქვს თავისი ზოლიტიკურ-ეკონომიური საზღვარი. იმ საზღვრის აქედ—რუსეთია, იქით—ფინლანდია. ეს ორი ქვეყანა სულ სხვა და სხვაა, სხვა წნე და ჩვეულებების, სხვა ენის და სწმუნებების, სხვა ერის და წეს-წყობილებისა. ეს საზღვარი სხვათა შორის სადამოქონც არის: ზოგიერთი ნაწარმები რუსეთისა უბაჟოდ ვერ შედის ფინლანდიაში, და ზირიქით, ზოგი ნაწარმები ფინლანდიის ვერ შემოდის რუსეთში დადებული ბაჟის გადაუხდელოდ. ვისაც ცოტად მინც უსწავლია ზოლიტიკური ეკონომია, ის ადვილად მიხვდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სადამოქონც საზღვარს მრეწველობის და მეურნეობის სადორძინებლად და საზოგადო და ეკონომიურ წინმსვლელობისთვის. ფინლანდია ამ სახეგარ საუკუნის წინეთ სრულებით და რიბი ქვეყანა იყო, ესლა კი მისი მდგომარეობა ბევრისთვის სხანტრელოა, ბევრისთვის სახარბიელოა. თუ ესლა ბევრი ზოლიტიკური მოღვაწე რუსეთში წინააღმდეგია ფინლანდის ავტონომიისა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრს კიდევ ჰმურს მისი წარმატუ-

*) იხ. საქ. მოამბე № 11.



ბს. მაშინ, როდესაც თვითონ რუსეთი ღარიბი და კულტურულად ძალიერ დაძაბუნებული ქვეყანაა, მის გვირდით მისი ქვეშევრდომი ფინლანდია წინ მიდის და ევკლასფერში წარმატება ეტყობა. ეს წარმატება არაფერად ექსპლანატირება ბევრს „ტექნიკური პროგრესი“ და ბევრიც მოითხოვს კიდევ გაუქმებას უფრო იმ ზონებისა, რომელთაც შექმნეს დღევანდელი ფინლანდია. ეს ზონები გასწავს მისი ზოლიტიკური თავისუფლება, მისი ავტონომია. აი რას წარმოადგენს ეს ავტონომია.

რუსეთის ხელშია მხოლოდ ორი სავაჭრო: სურთა-შორისა წარმომადგენლობა და სამხედრო მართველობა. გარდა ამ ორი სავაჭროსა, დანარჩენი უფრო სავაჭროა, რომელიც კი შეეხება ფინლანდიას, უნდა იქმნას გარეული და გადაწყვეტილი ფინლანდიის განსაკუთრებითი კანონ-მდებლობის ძალით.

ფინლანდიის აქვს თავისი კანონმდებელი კრებული—სეიმი. ესეა უფრო ფინლანდიის მკვიდრს, მამა კაცია იგი თუ დედაკაცი, ვინც კი აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნილებას, აქვს საარჩევნო უფლება. ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენლებს ან დეპუტატებს; იმათ შორის ქალებიც ბევრი იყვნენ უკანასკნელს სეიმში. უფრო კანონ-პროექტი გასინჯული და მიღებული უნდა იყოს სეიმის-მიერ, და არავითარ ბრძანებას არ აქვს კანონის ძალა ფინლანდიაში, თუ იგი წინასწარ არ იყო განხილული და მიღებული სეიმის-მიერ. კანონ-პროექტი, რომელიც მიღებული იქნება სეიმში, გადაეცემა ხელმე ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორს, ამ უკანასკნელმა უნდა გაუგზავნოს იგი ზეტერბურგში ფინლანდიის მინისტრ-სტატის-სეკრეტარს, და ეს მინისტრ-სტატის-სეკრეტარი კი ვალდებულია მთავრობის იგი ხელმწიფე იმპერატორს. უფრო კანონ-პროექტი ითხოვს უმდლებს სსქცისა, უამისოდ იგი უფრო ძალას მოკლებულია. ასეთი არის მოკლებული კანონ-მდებლობის წესრიგი.

ხოლო რაც შეეხება მართველობას, იგი ამხარად არის მოწყობილი:

სათავსში სდგას ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორი, რომელიც ინიშნება ხელმწიფე-იმპერატორის-მიერ და მხოლოდ მისგან არის დამოკიდებული. იგი თავმჯდომარეა ფინლანდიის სენატისა და თავა-ეურს დეკრეტებს მთელი სამთავროს მართვა-გამგეობას.

შინური ადმინისტრაცია და გამგეობა სენატის ხელშია. ფინლანდიის სენატი განიფილება ორ ნაწილად: ერთი—სამოსამართლო, რომელიც წარმოადგენს უკანასკნელ ინსტანციას უფრო სდავო საქმისთვის, მეორე კი—სამინისტროსა ფინლანდიისა. ზირველ სენატში უკანასკნელი ათი კაცი მანც უნდა იყოს; ისინი არჩევენ ს-მოქალაქე, სისხლის სამართლის და სხვა საქმეებს და თავის კომპეტენციით ისეთივე დაწესებულება არის, როგორც რუსეთის სენატია. ამიტომ უფრო სდავო საქმე ფინლანდიაში იქვე თავდება და რუსეთის სენატში კი არ გადადის.

მეორე ნაწილი სენატისა, რომელსაც მე სამინისტრო

ვუწოდებ, მართლა სამინისტროა, თუმც მის განყოფილებას სამინისტროს კი არა, ექსპლედისა ეძახიან. ამისთანა ექსპლედია ან სამინისტრო არის რიცხვით ცხრა: სამოსამართლო (იუსტიცია), სამოქალაქე (შინაგან საქმეთა), საფინანსო, სამხედრო, სასულიერო და სახალხო განათლებისა, სამეურნეო, გზათა ვაჭრობის და მრეწველობისა და სახელმწიფო მამულებისა. ამ ხარად ფინლანდიის ჰყავს ცხრა მინისტრი; ევკლასი ინიშნების უმდლების ბრძანებით და ზასუხის მგებლები არიან იმპერატორის წინაშე. მინისტრები ან როგორც მათ ეძახიან-სენატორები—ზასუხს აგებენ აგრადვე სეიმის წინაშე. ეს თუმცა ზირდაზირ გამოთქმული არ არის „სეიმის დებულებაში“, მანც ამ უკანასკნელმა ორმა წელმა ნათლათ დაგვანახვა, რომ სენატორები დიდის უურადებით ექცევიან სეიმს და ასრულებენ შეძლებისა დაგვარად მის სურვილს. მაშინ როცა ეს არ შეუძლიანთ სხვა და სხვა მიზნის გამო, ხელს იღებენ სამსხურზე. საზოგადოდ ფინლანდიის ზარლამენტარულმა ცხოვრებამ გამოაჩინა დიდი მომზადება და კულტურული განვითარება, როგორც მართველებისა, აგრეთვე ხალხისა. ევკლას ეს მართველები ფინები არიან ჩამომავლობით და ხალხის სურვილს, მასთან შეთანხმებულად მოდგწეობას უფრო მდლას აუენებენ, ვიდრე სხვა და სხვა რუსეთიდან მიღებულ ადმინისტრაციულ მოთხოვნილებას.

მოვიხსენიოთ კიდევ ის, რომ ფინლანდია დაყოფილია გუბერნიებად. არის რვა გუბერნია, გუბერნიის სათავეში სდგას გუბერნატორი, რომელიც ინიშნება უმდლების ბრძანებით, მგვრამ თავის მოქმედებაში ექვემდებარება ფინლანდიის სენატს. გუბერნატორი შეიძლება იქმნას ზასუხისგებაში მიცემული და ამ შემთხვევაში უმდლებს სამსჯავროს წარმოადგენს იგივე სენატი,

მგონია, საჭირო არ არის შევუდგე უფრო დაწვრილებით დაწვრას ფინლანდიის წეს-წყობილებისა. ქალაქის და სოფლის თვითმართველობა იქ განვითარებულია, მგვრამ ჩემთვის ეს კი არ არის საინტერესო, არამედ ის მხარე ზოლიტიკური მოწყობილობისა, რომლითაც დცული და შესაზღვრული არის ფინლანდიის თავისუფლება. ჩვენ დავინახეთ, რომ ფინლანდიის აქვს თავისი კანონ-მდებელი ორგანო—სეიმი, თავისი განსაკუთრებული მართველობა—სენატი და თავისი უმდლები სამოსამართლო დაწესებულება—იგივე სენატი.

თუ გავიხსენებთ, რომ სახელმწიფო უფლებებში შედის სემა ელემენტი—საკანონმდებლო, სამართველო და სამოსამართლო—ჩვენ დავინახავთ, რომ ფინლანდია წარმოადგენს სახელმწიფოებრივ ერთეულს—ავტონომიას. მისი თავისუფლება დცულია კანონების მხრივ იმით, რომ სეიმის განუხილველად და მიუღებლად არავითარი კანონი არ შეიძლება შემდებულ იქმნას; მართველობის მხრივ იმითი რომ ევკლას სენატორები უსათუოდ ფინლანდიელები უნდა იყვნენ ჩამომავლობით; აგრეთვე გუბერნატორებიც; გუბერნატორები ზასუხის მგებლები არიან სენატის წინაშე და სენატი კი ვალდებულია იხელმძღვ-

ხელს თავის მოქმედებაში არა მარტო უმაღლესი ბრძანებით, არამედ სეიმის, ე. ი. ხალხის წარმომადგენლების სურვილითაც. რაც შეეხება სამოსამართლო საქმეს, აქაც უფლებებრივი ცხოვრების მიმდინარეობა არ არის დარღვეული. როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ყოველი საქმე თავდება ფინლანდიაშივე — მის სენატში.

ფინლანდიის ზოლიტიკურ მდგომარეობის დასახსიათებლად არ იქნება მეტი კიდევ დავუმატოთ შემდეგი. სხელმწიფო ეხად იქ მიღებულია ორი ენა — ფინური და შვედური. რუსული არავინ იცის და არც ვაღიბებულია ვინმე, რომ იცოდეს. ყოველ საქმის ქაღალდს ან მოხსენებას, რომელიც ზეტერბურგში უნდა წამოვიდეს, სთარგმნიან რუსულად ან გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში, ან ზეტერბურგში ფინლანდიის სტატს-სეკრეტარიატის მოხელეები.

ეკონომიურად ფინლანდია სრულებით თავისუფალია. ფინლანდიას უფლება აქვს ფულის მოჭრისა, აქვს თავისი ფული — მარკა, რომელიც რუსულ ფულს სრულებით არა ჰგავს. დამოუხაზე ადრე მოგახსენეთ და ამ სადამოუხაზო კანონმდებლობით ფინლანდიას შეუძლია და შეეძლო კიდევ წინ წასწიოს მრეწველობა, მეურნეობა და სოფლის-ეკონომიური ცხოვრება. ფინლანდიას აქვს აგრეთვე თავისი სხელმწიფო ბანკი, დაარსებული 1811 წ.; ეს არის უმთავრესი ხელმძღვანელი კრედიტისა და ფულის მოძარაბისა. რასაკვირველია, სოფინანსო ზოლიტიკა თვითონ ფინლანდიის ხელშია, ე. ი. სეიმის და სენატის ხელში.

ფინლანდიის თვით-მართველობას უფლება აქვს დასწიოს სხელი გადასახადი და ბიუჯეტის აღრიცხვას მისცეს ისეთი ხასიათი და დანიშნულება, რომელიც უფრო შეეფერება ხალხის სჭირებებს და დროების მოთხოვნებს.

ასეთი ზოლიტიკური მდგომარეობაც ფინლანდიას. იგი ნაწილია რუსეთისა, მაგრამ ისეთი ნაწილი, რომელსაც აქვს „თავის შინაგან საქმეთა საწარმოებლად თავისი დაწესებულებანი და განსაკუთრებითი კანონმდებლობა.“ აგრე ამბობს მეორე მუხლი რუსეთის ძირითადი კანონებისა.

ამ მუხლიდან აშკარად სხანს ისიც, რომ შეიძლება ამ თუ იმ კუთხემ რუსეთისამ მიიღოს ავტონომიური წეს-წყობილება“ და იმავე დროს დაჩქეს რუსეთის „განუყოფელ ნაწილად.“ ავტონომია არ ეწინააღმდეგება სხელმწიფოს ერთიანობას; იგი არის ისეთი უფლებებრივი განწყობილება, სადაც დაცულია სხელმწიფო ინტერესები და ადგილობრივი ეროვნული თვითმართველობაც. — სამუხაროდ რუსეთში ეს აზრი ბევრს არ გაეგება და ფინლანდიის ავტონომია რაღაც ანომალია ჰგონიათ. ამითი ცრტათი მანინგ ახსენებს ის გამომსაშქრებს ფინლანდიის წინააღმდეგ, რომლითაც თავი მოსწიოს კიდევ ზოგიერთ ზოლიტიკურ მოღვაწეს ეხლანდელი რუსეთისა. უფრო კი ამ გამომსაშქრების მიზეზი ეხლანდელ რუსეთის ზოლიტიკურ მდგომარეობაში არის დამალული. უკვე მუხუთე წელიწადი მიდის მას აქეთ, რაც კონსტიტუცია

შემოიღეს რუსეთში და გამოაცხადეს თავისუფლება. მაგრამ გამოცხადება უქმ სიტუვად დარჩა და დატანჯულ ხალხს დღემდე შწუნარებით სავსე თვალი მიქცეული აქვს ზეტერბურგისკენ. აუცილებლად სჭირო არის ან განხორციელება იმ აღთქმულ თავისუფლებისა, ან ისეთი სეროთაშორისა სკიათხის დაეცება, რომელიც ადვილად გადაიბირებს ხალხის ყურადღებას. ასეთ კითხვად გახდა ფინლანდია და მისი ავტონომია.

მთელი ევროპა თავა-ყურს ადევნებს ესლამ იმ ბრძოლას, რომელსაც განიღდა ეს შესანიშნავი მხარე. ეს ბრძოლა, მისი ხასიათი და მიმდინარეობა დიდად სინტერესოა და სავსებით ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც არის საქართველო.

ამაზე შემდეგ.

გ. გვაზავა.



მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდან.

დამოუკიდებელი ანუ ოპროს ხანა.

VIII

მეთორმეტე საუკუნეში საქართველოს ზოლიტიკურ გაძლიერებას და ეკონომიურ აყვავებას თავისთავად მოყვა ქართულ ლიტერატურის და ხელოვნების ზრდა-განვითარება. საქართველო განიღდა ამ დროს სპი კულტურის ზედ-გავლენას: არაბეთის, სპარსეთის და ბიზანტიის. ამ სპი კულტურის გავლენამ ქართულ ნიადაგზე შექმნა თავისებური აქროს ხანა.

სიღიადე და სიღრმე ბიზანტიურ ქრისტიანულ კულტურისა და მდლად ფილოსოფიისა, ფრთებ შესხმული ფანტაზია, გულწარმტატი გმირული მოთხრობები და ერთიული ლირიზმი სპარსეთისა, მეცნიერება და ზრატეული ცოდნა არაბეთისა ერთად და ჰარმონიულად მოქმედებდნენ საქართველოში და მის უკვე ისტორიულად მომწიფებულ ნიადაგზე შექმნეს ქართული ეროვნული კულტურა, აფროთოვანეს ქართული სული, აფერადეს და გაამდიდრეს ენა, შექმნეს ახალი სერო და სსუელიერო ლიტერატურა.

ამ დროს, ვიტყვით მარი ბროსეს სიტყვებით: „სსუელიერო მწერლობა გამობრწყინდა საქართველოში იშვიათის კაშკაშით... ზოეხიის ყვავილებამ მოჭფინეს თვისი დამატკობობ-დამათრობელი სურნელობა საქართველოს ველ-მინდროს და დაავიროგვინეს სიმშვენიერთ კავასიონის მწვერვალები“ 1).

რასაკვირველია, ამ დროს ქართული სკოლაც — ეს განათლების კერა — აღმოდინდა. მან დაკარგა წინანდელი ვიწრო სარწმუნოებრივი ხასიათი და შეიქმნა ნამდვილ მე-

1) მ. ბროსე „Взглядъ на ист. и лит. Грузи“. сб. „Жур. Мин. Н. Пр.“, ტ. XI, გვ. 286.



ცნიერების ტაძრად. თუმცა ჯერაც არ არის რიგთანად გა-
მკვლეული, თუ როგორ იყო საქართველოში სკოლები
მცხოვრიდი ან რა-ღა-რა საგნებს ასწავლიდნენ მათში,
მაგრამ მაინც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქარ-
თულ სკოლებს არაბულ-ბიზანტიური ხასიათი და ელ-ფე-
რი უნდა ჰქონოდათ.

ქართული სკოლები, მომეტებულად კი დავით აღმა-
შენებელის და თამარის ეპოქის „უმაღლესი სკოლა“ დი-
დად ემზავსება არაბულ-ბიზანტიურ სკოლებს.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში არსებობდა სამი
„უმაღლესი სკოლა“ ანუ აკადემია: ქ. გრემში დაარსა აკა-
დემია ათონის ქართველთა მონასტერში აღზრდილმა—
იოანე ჭიჭიშვილმა (ზეტრიწიმ) და თითოეული იყო მისი
გამკვი; თფილისში აკადემიას განაგებდა ბერი გიორგი;
იყალიბდა— არსენ იყალიბელი. ამ სკოლების შესახებ
და ასუფავლებად თამარს ჰქონდა გადადებული დიდი თანხა ²⁾.

ქართულ უმაღლეს სკოლებში ასწავლიდნენ: ღვთის
მეტყველებას, ფილოსოფიას, კლასიკურ ლიტერატურას,
არაბულ და ბერძნულ ენებს ³⁾. ზოგიერთი ჩვენი ისტო-
რიული წყაროების მოწმობით, ქართულ აკადემიების ზრთ-
ფეორები შესაფერად ყოფილან მამზადებულნი სხვატომ
მაგრამ მასწავლებლები მღვდლები იყვნენ.

რადგანაც ქართულ „უმაღლეს სკოლების“ სათავეში
მამზადებული და განათლებული ზრთფეორები იდგნენ,
ამისათვის თვით ქართულ სკოლებშიაც ფართად და რი-
გთანად იყო დაყენებული სწავლა-მეცადინეობის საქმე. ასე-
თი დასვენა მით უმეტეს დასაჯერებელი და მისაღებია,
რომ საქართველოში, როგორც საბერძნეთში და არაბეთში,
არსებობდა დაბალი სკოლები, სადაც მოსწავლეები ემზა-
დებოდნენ „უმაღლეს სკოლებში“ შესასვლელად.

როგორც ვიცით, ბიზანტიაში არსებობდა შემდეგი
ტიპის სკოლები: სეკულარული, სამონასტრო, სეპისკოპო-
სო, სხვატრიარქო და სამეფო. ამ გვარივე ტიპის სკო-
ლებს ჩვენ ვხვდავთ საქართველოშიც (გარდა სამეფო სკო-
ლისა). ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ძველად საქართველო-
ში 250 წლის განმავლობაში ბერძნები იყვნენ სასულიერო
ზირებად, ქრისტიანობის მქადაგებლად და მასწავლებ-
ლად. სკოლების ზრთფეორებს და სწავლების მეთოდს, რა-
საკვირვებია, ისინი საქართველოშიც ბერძნულს შემო-
იღებდნენ.

ქართულ დაბალ სასწავლებლებში ასწავლიდნენ: წე-
რა-კითხვას (განსაკუთრებული ყურადღება მხატვრულ წე-
რას ჰქონდა მიქცეული), გალობას, დრამატიკას, ზიტი-
კას, გეოგრაფიას, ისტორიას, ანგარიშს. კერძოდ, სა-
მონასტრო და სეპისკოპოსო სკოლებში ასწავლიდნენ:
სადმრთო წერილს, ლიტურგიკას, ენებს, სიტყვიერებას,
ძველი სიტყვიერების ახსნას, ლექსთა განმარტებას, ზრდი-
ლობიან მუსიკას—ბასსს, სანიერების გარეგანს, იურიდი-
ულ თათბირს, არითმეტიკას, ასტრონომიას, ლექსთა

შედგენას და სხვ. ⁴⁾ ამ სკოლებს საშავლო სასწავლებლებ-
ბის ხასიათი ჰქონდათ.

ქართულ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება
ჰქონდა მიქცეული ენების შესწავლას. რადგანაც ძველ
დროში საქართველოს ტერიტორიაზე ათასწიარ ტომის
ხალხს უნდებოდა გადასვლა-გადმოსვლა და ზოგჯერ მიც
ქართველებთან, ამისათვის ქართველები აუცილებელ საჭი-
როებად სთვლიდნენ ენების ცოდნას. „ქართ. ცხოვრების“
მოწმობით, „ქართლს შინა იზრახებოდა ექვსი ენა:
სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და
ბერძნული. ესე ენანი იყვნენ და იცოდეს ყველა ქარ-
თველთა“... თუ მივიღებთ მხედველობაში საქართველოს
გეოგრაფიულს და ისტორიულს მდგომარეობას, ამ ცნო-
ბაში არ არის რა გაზვიადებული, როგორც ეს გვჩნა ბ.
მ. ბროსისეს ⁵⁾.

ქართულ დაბალ სკოლაში ასწავლიდნენ აგრეთვე:
„ეტრატის შექმნას, წიგნის შეკვრას, ძვერელობას, ტე-
ვის კერვას, ხეროვნობას და ყოველივე მსოფლიო სე-
ლოვნებას“. ⁶⁾

საქართველოს სკოლების უფროსებად იყვნენ მღვდლები
ან მონასტრის წინამძღვრები. სეპისკოპოსო და სხვა-
ტრიარქო სკოლები ეპისკოპოზების და ზეტრიარქის
მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ასევე საქართველოს
სკოლაში შენასვლელად, როგორც ბიზანტიაში ⁷⁾ 6—8
წლით იყო განსაზღვრული. როგორც ბიზანტიაში, ჩვენ-
შიც სკოლებში სწავლა უსასუილდოდ იყო... ვახტანგის
რჯულის წინგში ვკითხულობთ: „არ მართებს ფასით გან-
სწავლა ერმათავის“. მართლაც, აქ მე-XV^{III} საუკუნის
შეხვედლობას გამოთქმული, მაგრამ შეგვიძლია ვითქი-
როთ, რომ ასეთი შეხვედლობა მომდინარეობდა ივერიის
განათლების ისტორიის დასაწეისიდან...

მოგიყვანოთ რიოდ ისტორიული ფაქტი ძველ
ქართულ სკოლების არსებობის შესახებ.

ძველი ცნობილი მთარგმელები დავითი და სტეფა-
ნე, ზაქარია გაბაშვილის მოწმობით, **სამშობლოში
სწავლის დამთავრების შემდეგ**, „იერუსალიმს მიი-
წინეს და მუნ შეეძნეს ელინთა ენა—მზეობასა“. ⁸⁾

წმ. ილარიონის შესახებ ვიცით, რომ ის დავით
გარეჯის სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგ, „წიგნთ-
მოყვარებით აღტეინებული“ საბერძნეთს წავიდა სწავლის
გასაგრძობათ ⁹⁾.

გიორგი მთაწმინდელი თავდაზირველათ ხსნულის
მონასტრის სკოლაში სწავლობდა სხვა და სხვა საგნებს

²⁾ ჯანაშვილი „Царица Тамара“, გვ. 75 და 112.

³⁾ პლ. იოსელიანი „Ист. Груз. Цер.“, გვ. 71, 72 და 79; მ. ჯანაშვილი „Царица Тамара“, გვ. 82.

⁴⁾ ასეთი სკოლის გეგმა არჩილს აქვს მოყვანილი (იხ. ცაგარელი „Свѣдѣн.“, გვ. XXXVIII; მ. ჯანაშვილი „Цар. Там.“, გვ. 82).

⁵⁾ ხ. ცომაია. „სწავლა-აღზრდის საქმე საქართველო-ში...“. იხ. „განათლება“, 1909 წ., № 1. გვ. 36.

⁶⁾ მ. ჯანაშვილი „საქართ. ისტ.“, გვ. 248.

⁷⁾ იხ. ი. სოკოლოვი „О народ. школахъ въ Виз.“.- Цер. Вѣд. 1893, № 7—8.

⁸⁾ იხ. პრ. ცაგარელი „Свѣдѣн.“, выш. I, გვ. 61.

⁹⁾ საბინინი „საქ. სამოთხე“, გვ. 372.

და მხოლოდ შემდეგ სწავლის დასამთავრებლად ბიძამ წაიყვანა კონსტანტინეპოლში.

ამავე გიორგი მთაწმინდელის ცნობებიდან ვიცით, რომ მან საქართველოში დაარსა სსსწავლებელი, სადაც გამოცდილნი და სდამართა წერილში დახელოვნებული მასწავლებლები ასწავლიდნენ შეკირდებს სხვა და სხვა სასულიერო და საერო სკვნებს. ვიცით აგრეთვე, რომ შესანიშნავმა ფილოსოფოსმა იოანე ტაიჭიძემ დიდი შრომა გასწია სამშობლოში დაბალი სკოლების დაარსების საქმეში. ის განსაკუთრებით ჩამოვიდა ათონიდან ამ დიდად საჭირო საქმის მოსარგებლად. ექვს გარეშე უნდა იყოს, რომ საქართველოს აღუვალების და დიდების დროს (დავითის და თამარის დრო) საქართველო მთლიანობდა სხვა და სხვა ტიპის სკოლებით: ბიჭვინტის, მარტვილის დავით გარეჯის, ზედა-ზნის, შიო მდვიმის, საფარის, ტბეთის, თბილისის, შატბერდის, ჯგერის, ახტალის, ზარზმის, ნიკორწმინდის მონასტრებში აუცილებლად იქნებოდა დაარსებული, თუ არ უმადლესი, სშავალო სკოლები მანც. ქართულ სკოლებისათვის მასწავლებლების საუკეთესო მოსამზადებლად ყოველ წლებით იგზავნებოდნენ საბერძნეთის ორმცხედნიჭიერი ახალგაზდანი, რომლებიც სწავლის დასრულების შემდეგ ბრუნდებოდნენ სამშობლოში და აქ მუდმივ რჩებოდნენ სამაქმედოდ 10).

მე-XI და XII სსუკ. ფილოსოფიას მოაკლდა ცხოველ-მეოფლობა, რადგანაც გადაშტეტებით განუყებულნი და შეტაფიზიკური იყო. ამიტომაც მან შესამჩნევად დაკარგა გავლენა. ზირიქით, ღვთის-შეტყველება გამოცოცხლდა და გამოაჩინა შემოქმედებითი ძალა. მან დაჩრდილა და დასძლია ფილოსოფია და გაიხადა, როგორც ამბობენ, „თვის მოსამსხურად“. ღვთისშეტყველება გაბატონდა ყველგან, ყოველ სივრცეში: ის გახდა თითქმის ერთადერთი სიბრძნის და ზედ-შთაქმების წყაროდ. თვით საერო ზოეტებიც კი თვისი ღირსი საღვთის-შეტყველო ჰანგზე აქედნებდნენ და სკვნად შემოქმედების ირჩევდნენ ბიბლიურს და საეკლესიო სიუჟეტებს.

ეს საზოგადო მოვლენა იყო საბერძნეთში, ებრაელებში, არაბეთში და საზოგადოდ ყველგან მკვამდაიანებაც. 11)

ქართულ მწერლობაშიაც გაბატონებული იყო ასეთი საზოგადო მიმდინარეობა და მიმართულება. ამ დროს ქართველ ფილოსოფოსებსაც აკლიათ აზროთ თავისუფალი აღმაფრენა. ისინი განაგრძობენ არისტოტელის და ზლატონის ბრძიდ თაყვანისცემას: ყოველივე მათი აზრი და ფილოსოფიური შეხედულობა ქართველ ფილოსოფოსებს მიანხათ შეურეყველ ჭეშმარიტებად. მართლაც, დროც თხროლობდა ასეთს უანგარიშო თაყვანისცემას. ეს იყო ის საერთო ხარჯი, რომელსაც განათლებული კაცობრიობა უხდიდა ბერძენთა ერის გენიალობას.

დავითის და თამარის ეპოქის ლიტერატურა ითვლება

10) ვახუშტი „საქ. ისტ.“, 2 შენიშ. ბაქარძისა, გვ. 162; Всеобщ. истор. Вардана Великого, გვ. 147.

11) იხ. ჩიხრიანი „Истор. полит. уч.“, 5. I. გვ. 165

ბა ქართულ კლასიკურ ლიტერატურად. ამ დროს ქმნიდნენ და მოღვაწეობდნენ მაღალ ნიჭიერნი მწერალნი, რომელთაც გაამდიდრეს ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურა შესანიშნავი ნაწარმოებებით. ერთნი მათგანი ემსახურებოდნენ ფილოსოფიას, მეორენი — ზოეზიას. მომეტებული ნაწილი კი, როგორც დრო მოითხოვდა, იკვლევდნენ საღვთისმეტყველო და ეთიკურ კითხვებს.

ამ დროის საერო მწერალთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან: შოთა რუსთაველი, მოსე ხონელი, გრ. ჩხრუხაძე, სარგის თმოგველი, ივანე შავთელი, დავით საათაბაგოელი და სხვანი.

შოთა რუსთაველი

ბიოგრაფია.

მნათობი ჩვენის ლიტერატურისა, შოთა რუსთაველის სიამაყე და მისი გენიალობის გამომსახველია, შოთა რუსთაველი ცნობილია თამარ მეფის დროს, მე-XII სსუკუნეში. დაიბადა ზემო ქართლში, სოფელ რუსთავში, ახალციხის მხლამდებლად 12). თვით რუსთაველი ამბობს თავის შესახებ: „და ვსწერამ მესხი ვინმე შელექსე, მე რუსთავის დაბისა“ 13). „რუსთაველი“ ფსევდონიმი, როგორც „ხონელი“, „შავთელი“, „თმოგველი“ და სხვ. ნამდვილი გვარი შოთასი არ ვიცით. ამბობენ, ვითომ შოთა გვარად ხურსიძე იყო. ამას გადაწვევით ამტკიცებს ბ. ზ. ჭიჭინაძე 14) არ ვიცით აგრეთვე სხელი „შოთა“ რა სიუჟეტით ეწოდება „ვეფხვის-ტყაოსნის“ ავტორს. თვით „ვეფხვის-ტყაოსნის“ არ არის მოხსენებული ეს სხელი და ის მიუთვინებია ზოეტისათვის გადმცემას. „შოთა“ მეტი სხელი უნდა იყოს ზოეტის ისე, როგორც იოანე შავთელს ერის კაცობაში აბღულ მესია რქმევა 14). ერთი ძველი ლექსი (მე-XV III სსუკ.) მოგვითხრობს, „ვეფხვის-ტყაოსნის“ დამწერს „შოთა“ იმისთვის უწოდეს, რომ ის მაღალ ტანის კაცი იყო, აწოწილი შოთავითა 15).

შოთა რუსთაველი ყოფილა თამარ მეფის დროის დიდებული 16).

12) იხ. ხაზანაშვილი „Очерки“, вып. II, გვ. 251; ზაქ. ჭიჭინაძე „შოთა რუსთაველი“, გვ. III.

13) ბ. დ. კარიჭაშვილს ეს აღგილი „ვეფ. ტყაოსნისა“ ყალბად მიანხია. „ეს ტყევი, ამბობს იგი „ვეფ. ტყაოსნის“ ავტორის დაწერილი კი არ არის, არამედ ჩამატებული ან მის გადამწერის ან მისი მკითხველისაგან. ის ყოფილა უბრალო მელექსე და „ვეფ. ტყაოსნის“ წაკითხვის შემდეგ გამოუთქვამს თვისი გრძნობა და თან თვისი ვინაობა უცნობებია: ამის დამწერი ვარ ვინმე მესხი მელექსე რუსთავის დაბიღანაო“. იხ. „ვეფ. ტყაოსნის“ მე XIX გამოცემა, გვ. XV.

14) ზ. ჭიჭინაძე „ისტორია ხურსიდის (ისარლოვის) გვარისა და შოთა რუსთაველი“, გვ. 35.

15) გოლოვინი რუსთაველს სრულიად უსაფუძლოდ „ივანეს“ ეძახის („Ист. Обиэ.“, გვ. 77.)

16) ჭიჭინაძე „შოთა რუსთაველი“, გვ. 8.



მისი მამა, ზოგიერთების აზრით, თამარ მეფის ამირ-სწასწავარი ყოფილა (მღვ. დიმ. ჯანაშვილი).

ზირველ დაწვებითი სწავლა მას მიუღია სამშობლო რუსთავეში, საეკლესიო სკოლაში. შემდეგ ბიძას მიუბარება ტბეთის სასწავლებელში. ტბეთიდან გადასულა გრემში აქ დაუყვია ხუთი წელიწადი. თექვსმეტი წლისა, შოთა გადასულა იუდათოში, აქედგან სწავლის დასამთავრებლად საბერძნეთში გამგზავრებულა. 17). უნდა ვიფიქროთ, რომ შოთა რუსთაველი ერთ იმ ემწვილთაგანი იქნებოდა, რომლებიც, დავით აღმაშენებლის დადგენილებით, ყოველ წლებით იგზავნებოდნენ საბერძნეთში 18) შოთა, გიორგი III დროს გაემგზავრა საბერძნეთში და შევიდა ივერიის მონასტრის სასწავლებელში. როგორც წინეთ მრავისხენიეთ, ივერიის მონასტერი იუა უმთავრესი ცენტრი ქართველთა განათლებისა.

იქ ის კარგა ხანს დარჩა. შემდეგ შოთა შესულა იქაურ ფილოსოფოსთა სკოლაში, სადაც დახელოვნებულა ფილოსოფიაში, მჭერმეტყველებაში, ბერძნულ და ლათინურ ენებში 19). საბერძნეთში ყოფნის დროს რუსთაველს ბერძნულ და ლათინურ ენების კარდა, სწავლული და ანბნულიც შეუსწავლია. ქართულ ენას კი სეკდმიწევნით შოთა ივერიის მონასტერში შეისწავლიდა. რუსთაველი კარგა ხანს დარჩენილა საბერძნეთში 20)

იპ. ვართაგავა.

17) დ. კარიჭაშვილი., გვ. XXVI.

18) ჩვენ აქ მოგვყავს ზეპირგადმოცემა და არა უტყუარი ისტორიული ფაქტი.

19) „ქართლ. ცხოვრებიდან“ დაწყებული ყველა ჩვენი ისტორიკოსები (ბროსე, ბაქრაძე, იოსელიანი და სევ.) ამტკიცებენ ამ ფაქტს.

20) ამას ერთხმად ამტკიცებენ თეიმურაზ მეფე, ვახტანგ მეფე, ბაქრაძე, ბროსე, იოსელიანი, ხახანაშვილი, კარიჭაშვილი და სხვები. სულ სხვა აზრისა ბ. ს. ქვარიანი. ის ამბობს: „შოთას განათლება არ მიუღია საბერძნეთში. მაშინ მას ეცოდინებოდა ბერძნული ენა, ლიტერატურა და თავის ნაწარმოებში ნებით თუ უნებლიეთ შეიტანდა ელინურ სულს. მისი პოეზია კი სულ სხვას გვიმტკიცებს. არავითარი ელილენი და საქრისტიანო სული არ არის. იგი თავიდან ბოლომდის ეროტიულის ხასიათისა; შიგ სჩანს აღმოსავლეთის მელანქოლია, რაინდობა, ფატალიზმი, ცრემლები და სპარსული ენა, სული და ტენდეცია.. შოთამ მიიღო განათლება იერუსალიმის ქართ. მონასტერში“. („მოამბე“, 1898 წ. 7.)

21) ჭიჭინაძე „შოთა რუსთაველი“, გვ. 15.

რედაქტორ-გამომცემელი სვ. ყიფიანი.

1910 წლის 1 იანვრიდან

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„ფონზეი“

წლიურათ გაზეთი ეღირება — — 3 მან. 50 კაპ.
ნახევარი წლით — — — — 2 მან. — კაპ.
სამი თვით — — — — 1 მან. 20 კაპ.

ადრისი: Кутаись, редакция „ПОНИ“, Балахванская улица, домъ № 37.

ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე ისიღორე კვიცარიძესთან.

Открыта подписка на 1910 г.

(ТРЕТИЙ ГОДЪ ИЗДАНИЯ)

на двухнедѣльный журналъ

„ФИНЛЯНДИЯ“

Выходитъ 10 и 25 числа каждаго мѣсяца.

24 номера въ годъ.

Редакторъ: А. В. Игельстромъ.

Издатель: Д. Д. Протопоповъ

Задачей журнала „Финляндия“ является освѣщеніе такъ называемаго „финляндскаго вопроса“ и отраженіе несправедливыхъ шовинистическихъ нападокъ известной части русской періодической печати на Великое Княжество и его внутреннюю самостоятельность, многократно подтвержденную російскими Монархами.

ФИНЛЯНДИЯ кромѣ того даетъ обширный фактический матеріалъ по всему, что касается жизни этой страны и что содѣйствуетъ культурному сближенію русскаго и финляндскаго общества.

Подписная цѣна съ доставкой и пересылкою: въ Россіи и Финляндіи на цѣлый годъ 6 руб., полгода 3 руб., три мѣсяца 1 руб. 50 коп.

Отдѣльные номера 25 копѣекъ. (Наложенымъ платежомъ 35 копѣекъ).

Подписка принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Мойка, 24 (у Пѣвческаго моста), въ книжномъ магазинѣ Р. Эдгрена (Б. Конюшенная, 8), „Наша Жизнь“, М. О. Вольфа, а также во всеѣхъ книжныхъ магазинахъ столицъ, Финляндіи и провинціи.